

# ქაქუჩა-არაკაქუჩური ქართულ პოლიტიკაში

თავდაცვის ყოფილი მინისტრი საქართველოს პარლამენტში საგანგებო კომისიის შექმნას ითხოვს, რომელიც საფრანგეთში მის მიერ ხელმოწერილ მემორანდუმის ჩაშლის საქმეს შეისწავლის. ირაკლი ალასანია უკვე ღიად აცხადებს, რომ საფრანგეთში საპაერო თავდაცვითი სისტემების შექმნა მოქმედება პრემიერმა ჩაშალა და სანამ მის მიმართ სრულ პოლიტიკურ უნდობლობას გამოაცხადებს, მანამდე პარლამენტმა მემორანდუმის საქმე უნდა შეისწავლოს.

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნის მოთხოვნა საგანგებო ბრიფინგზე გააჟღერა. „კომისია შეისწავლის, რა პირობებში, როგორ დაიღო ეს მემორანდუმი, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყანასთან და რა დააკლდა ჩვენს ქვეყანას იმით, რომ 6 თვის ამოწურვის შემდეგ ეს შეთანხმება გაფორმებული არაა. ვიდრე პრემიერ-მინისტრს სრულ პოლიტიკურ უნდობლობას გამოვუცხადებთ, მინდა საქართველოს პარლამენტმა ასეთი შესწავლა ჩაატაროს,“ — განაცხადა

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა. ალასანიას განცხადებით, საფრანგეთში გაფორმებული მემორანდუმით გათვალისწინებული შეთანხმების ხელმოწერის შემთხვევაში ქვეყანა საპაერო სუვერენიტეტზე სრულ კონტროლს აიღებდა და ქვეყანას არა ერთი საფრთხისთვის გამკლავების შესაძლებლობას მისცემდა. „ბუნებრივია, მე დღეს ვერანაირ დეტალს ვერ ვაგვიხელ, თუ რა ტაქტიკურ-ოპერატიული საშუალებები იქნებოდა განლაგებული საქართველოში ამ შეთანხმებით, მაგრამ გეტყ

ვით, თუ რისგან შეგვეძლებოდა თავდაცვა, თუკი ეს შესაძლებლობები საქართველოში განთავსდებოდა, ყველა სახის მოიერიშე თვითმფრინავი — ბომბდამშენი, ვერტმფრენი — ჩვენს საპაერო სივრცეში პრაქტიკულად შემოსვლის შესაძლებლობის გარეშე იქნებოდა. სრულ კონტროლს ავიღებდით ჩვენს საპაერო სუვერენიტეტზე.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

## მცირემინიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის სამხლიანი პროექტი სრულდება



„პ.ს. ფოტო“

საქართველო აგრარული ქვეყანაა. მისი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის გონივრულად გამოყენება და აგროსექტორის განვითარება რამდენიმე წელია ახალი სამოქმედო გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. ხარვეზებისა და პრობლემების მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის სოფლის მოსახლეობამ უკვე იგრძნო

გარკვეული დახმარება და შედეგები მიწის დამუშავების, მოსავლის მიღებისა და რეალიზაციის პროცესში.

ხელისუფლებაში მოსვლის დროს, „ქართული ოცნების“ მიერ მოსახლეობისთვის მიცემულ დაპირებებთან შორის განსაკუთრებულად

ხაზგასმული იყო სოფლის აღორძინების პროგრამებისთვის ასეულობით მილიონი ლარის დახარჯვა, ლოზუნგი — ყოველი სოფელისთვის 5 მილიონი ლარის გამოყოფაც შთამბეჭდავად ჟღერდა.

საბედნიეროდ, სოფლის განვითარების პროექტები „აუსრულდებელ ოცნებათა“ ნუსხაში არ მოხვდა და

მართლაც, ხელისუფლების შეცვლისთანავე დაიწყო ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, რომელთაგან მასშტაბურობით გამორჩეული იყო „მცირემინიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

### ვის როგორ დაუთვლიან ქულას

რა შეიცვალა სოციალურად დაუცველთა სტატუსის მინიჭების მეთოდოლოგიაში

იხილეთ მე-2 გვერდზე

### „ოკრაინისთვის ერთი მომღერლის ჩამოყვანა ქუთაისის ბიუჯეტს 13 000 ლარი დაუჯდა“

იხილეთ მე-2 გვერდზე

### გურული ფალიაშვილის გუზაუშის ექსპონატების რესტავრაციის პირობას დას

იხილეთ მე-2 გვერდზე

### სვლილაგაი სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობაში

იხილეთ მე-6 გვერდზე

### შემოსავლების სამსახურის შეტყობინება დაუბარავი პინიშებით მოსარგებლე პირთა საყურადღებოდ!

იხილეთ მე-3 გვერდზე

**120-ე სეზონის პირველი პრემიერა ჭიათურის თეატრში**



იხილეთ მე-7 გვერდზე

**ჯანდაცვის მინისტრი კვატიტით დაავადებულებს აფრთხილებს**



იხილეთ მე-5 გვერდზე



„ორმაისობისთვის ერთი მომღერლის ჩამოყვანა ქუთაისის ბიუჯეტს 13 000 ლარი დაუჯდება“

ქუთაისში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპა ჩვენი სახლი“-ს დამფუძნებელმა გია გოჭაძემ ბრიფინგი გამართა. მან ქალაქის ხელისუფლების „ქამრების შემოჭრის“ პოლიტიკა გააკრიტიკა.

„მოსახლეობამ ქალაქის მერი იმისთვის აირჩია, რომ ქალაქი განვიითარებინა, ანდო ბიუჯეტი, იგივე მოსახლეობის „საფულე“. ქალაქში კი ყველაფერი გაჩერებულია, ქირავდება და იყიდება. მაშინ, როცა მერიაში „ქამრების შემოჭრაზე“ საუბრობენ, კულტურული ღონისძიებებისთვის მერიამ ბიუჯეტიდან დიდი თანხა გამოყო: ორმაისობის დღესასწაულის აღნიშვნა ბიუჯეტს ასი ათასი ლარი დაუჯდება, აქედან ერთ-ერთი მომღერლის ჩამოსაყვანად 13 000 ლარია განსაზღვრული, ძალღების გამოფენისათვის კი - 15000 ლარი. მისაღებად ეს ღონისძიებები, მაგრამ არა ბიუჯეტის ხარჯზე,“ - აცხადებს გია გოჭაძე.

გია გოჭაძემ ისაუბრა ქალაქში დღემდე მოუწესრიგებელ ტრულეტებზეც. „წითელი ხიდან განთავსებული საზოგადოებრივი ტრულეტის დადგმა, რომელიც მერიას 40 000 ლარი დაუჯდება, დაკეტილია და ტურისტები ეძებენ, სად უნდა წავიდნენ,“ - აცხადებს „ევროპა ჩვენი სახლი“-ს დამფუძნებელი.

მარიამ ლუგაშვილი

მურღულია ფალიაშვილის მუზეუმის ექსპონატების რესტავრაციის პირობას დებს

ქუთაისის მერმა შოთა მურღულიამ გასულ კვირას ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმში მოინახულა. მუზეუმში დაცულია დიდი ქართული კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალები.

„ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილია ჩვენს ქალაქში. გაცვანით მუზეუმში არსებულ პრობლემებს. აქ არის ნივთები, რომლებიც რესტავრირებას საჭიროებს. ჩვენ ვეცდებით, შესაბამისი წესების დაცვით მოვახდინოთ მათი რესტავრირება, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მათ შორის ტურისტების კუთხით. სიძველეებს უნდა მოვუფრობოთ და ხელი შევუწყოთ, ისტორია გადავცეთ მომავალ თაობას,“ - აღნიშნა შოთა მურღულიამ.

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე

ლიზინი: ირმა ბახუტაშვილი  
ოპერატორი და კორექტორი: ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S.“ (პოსტსოციალიზმი).

ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401

გაზეთი „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: UDC (უაქ) 3+321 (479.22) (054) 3 - 658 P - 86

მისამართი: ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №37. პრესის სახლი.

• (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.  
• psnews27@gmail.com  
• www.psnews.ge



ქაქუა-არაკასური ქართულ პოლიტიკაში

პირველი გვერდიდან

გარდა ამისა, ჩვენ მოგვეცემოდა შესაძლებლობა გავეკვლინოდით ისეთ საფრთხეს, როგორცაა საშუალო და მოკლე სიშორის ბალისტიკური იარაღები, როგორცაა ე.წ. ისკანდერი და სხვა სარაკეტო სისტემები,“ - განაცხადა ალასანიამ.

„თავისუფალი დემოკრატიების“ ლიდერის განცხადებით, ამ შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე ფინანსური ასპექტია იყო, რადგან ამ შემთხვევაში საპარტო თავდაცვითი სისტემების საქართველოში განთავსება ქვეყნის ბიუჯეტს მძიმე ტვირთად არ დააწვევდა.

„არცერთი ინვესტორი არ ჩადებს ჩვენს ქვეყანაში დიდხალ ფულს, თუკი მან არ იცის, რომ ეს ინვესტიცია იქნება დაცული და თუკი მან იცის, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება ქვეყანას შეუძლია შემოვიდეს და ხელი აუფაროს შენს საშინაო საქმეებში,“ - განაცხადა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა.

ალასანია ე.წ. „კაბელების საქმეს“ და საფრანგეთში მის მიერ ხელმოწერილ მემორანდუმს ერთმანეთს უკავშირებს. მისი თქმით, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მაშინდელი მდივანი, რომელიც ახლა თავდაცვის მინისტრის თანამდებობას იკავებს, მას პრემიერ-მინისტრის სახელით დაუკავშირდა და უთხრა, საფრანგეთის შესაბამის ინტელსტრუქტურას მემორანდუმზე ხელი არ მოეწერა. ალასანიამ თქმით, მისთვის ეს თხოვნა გასაკვირი იყო იმ ფონზე, როდესაც ყველა დეტალი როგორც პრემიერთან ისე უსაფრთხოების კაბინეტის წარმომადგენლებთან, შეთანხმებული იყო.

„იმ მომენტში, როდესაც არ დავემორჩილე ამ არასწორ, უკანონო მითითებას და მეორე დღეს, დილით, როდესაც ხელმძღვანელად მივდიოდი, თავდაცვის სამინისტროს 5 თანამშრომელი დააკავეს, იმ იმედით, რომ მე ჩემს სწორ განზრახვებზე უარს ვიტყვოდი... ჩამოვედი თბილისში და როდესაც ვიკითხე, რატომ მოხდა ამ ადამიანების დაკავება, წესიერი პასუხი ბუნებრივია, არ მივიღე. ამას დავმატა ისიც, რომ პროკურატურამ თავზედურად გააგრძელა შემოტევა პოლიტიკურ



ირაკლი ლარიაშვილი

რი ნიშნით,“ - განაცხადა ალასანიამ. მისივე თქმით, თავად ჯანელიძე, რომელიც ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ კომუნიკატორის როლს ასრულებდა, განხილვებში, რომელიც უსაფრთხოების საბჭოზე მიმდინარებდა სოლიდარულად იყო ამ თემის მიმართ და მხარს უჭერდა და იმედი ჰქონდა, რომ იგი დაწყებულ საქმეს გააგრძელებდა.


უნდა შეიქმნას თუ არა საგამოძიებო კომისია?!

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი კახიანი დარწმუნებულია, რომ „თავისუფალი დემოკრატიების“ ამ მოთხოვნას საგამოძიებო კომისიის შექმნაზე პარლამენტი მხარს არ დაუჭერს.

იგი მიიჩნევს, რომ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა გაკეთებულ განცხადებებში უსაფუძვლო არგუმენტები მოიყვანა, თითქმის ქვეყნის საპარტო სივრცის დაცვა მხოლოდ მას სურს.

„ახლაც მათ დაახლოებით ისეთი სურათი წარმოაჩინეს, თითქმის თავდაცვის ყოფილ მინისტრს უნდა, საქართველოს საპარტო სივრცე იყოს დაცული და ხელისუფლება ამის წინააღმდეგა. არ მგონია, ვინმეს ასეთი არგუმენტაციის სჯეროდეს... შესაბამისად, ამ საგამოძიებო კომისიის შექმნას, დარწმუნებული ვარ, არანაირი მხარდაჭერა არ ექნება,“ - მიიჩნევს კახიანი.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი ვიქტორ



ირაკლი ალასანია

ჯავარიძე საგამოძიებო კომისიის შექმნის იდეას არ ემხრობა. მისი განმარტებით, ირაკლი ალასანიას თავდაცვის მინისტრობის პერიოდში შეეძლო ამ საკითხზე დახურული სხდომის მოწვევა.

ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ თავმჯდომარის მოადგილე თინა ხიდაშელი კი აღნიშნავს, რომ საგამოძიებო კომისიის შექმნას თავის წესი აქვს.

„ქვეყანაში ძალიან ბევრი თემია აქტუალური და ეს არ ნიშნავს, რომ ყველა თემაზე საგამოძიებო კომისია უნდა შეიქმნას. თუმცა საგამოძიებო კომისიის შექმნას თავისი წესი და მიზანი შეუწონილობა აქვს და გააჩნია, ფრაქცია როგორ დაასაბუთებს ამ მოთხოვნას,“ - განაცხადა ხიდაშელმა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი დავით დარჩიაშვილი კი ფიქრობს, რომ თუკი თავდაცვის მინისტრი მინდია ჯანელიძე და პრემიერი ირაკლი ლარიაშვილი იტყვიან, რომ — რაც ალასანიამ თქვა, ტყუილი იყო, მაშინ სასწრაფოდ უნდა შეიქმნას კომისია და ეს ყველაფერი გადამოწმდეს.

„კომისიას და 6 თვის კარგავს აზრი ამ შემთხვევაში არ აქვს იმიტომ, რომ არც ჯანელიძე და არც ლარიაშვილი საერთოდ არ უარყოფენ, რომ ასეთი რამ მოხდა. ანუ ყველაფერი ნათელი ხდება. საზოგადოებას უნდა ეს მოედეს, რომ ის, რაც თქვა ალასანიამ, ზუსტად ასეც მოხდა. რაღა უნდა გამოვიძიოთ? აქ ერთადერთი საკითხია — ამ მთავრობის გადადგომის მოთხოვნა,“ - აღნიშნავს დარჩიაშვილი სამ საკითხზე საუბრისას.

ალასანიას განცხადებების დამაჯერებლობაში ეჭვი ეპარება არასამართლმეტო ოპოზიციის ზოგიერთ წარმომადგენელს.

„მისი განცხადებები დამაჯერებელი იქნებოდა, ამ ფაქტის შემდეგ თავად რომ განამდგარიყო თანამდებობიდან. გაშვების შემდეგ, როცა ლაპარაკობენ, მაშინ ნამდვილად არ არის განცხადებები დამაჯერებელი,“ - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მაშ ასე, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ალასანიამ უკვე პირდაპირ განაცხადა, რომ ფუნდამენტური თავდაცვითი შესაძლებლობის შექმნაზე საქართველოს ირაკლი ლარიაშვილმა და ბიძინა ივანიშვილმა ათქმევინეს უარი. თუმცა, ბრალდება მთავარი აღმსარებელი — პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ როდესაც ალასანია ამ თემაზე ასე საჯაროდ საუბრობს, ეს არაკატორი საქციელია მისი მხრიდან, ხოლო მემორანდუმის საქმის კომუნიკატორი (როგორც მას ალასანია უწოდებს), დღევანდელი თავდაცვის მინისტრი მინდია ჯანელიძე ამბობს, მან ალასანიას მხოლოდ ხელმოწერის გადადება სთხოვა.

თავდაცვის მინისტრის მინდია ჯანელიძის განცხადებით, საფრანგეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფ ირაკლი ალასანიას მან ხელმოწერის აუცილებელი პროცედურების დაცვა შეახსენა და მისი გადადება სთხოვა. თავდაცვის მინისტრის თქმით, ალასანიასთვის საპარტო თავდაცვითი შეიარაღებზე შეთანხმების ხელმოწერაზე უარის თქმა არ მოუთხოვიათ, ამ თემაზე ბევრი საუბარი კი საქართველოს უსაფრთხოებას ავნებს.

„მე მას შევახსენე იმ აუცილებელი პროცედურების დაცვის შესახებ, რომელიც მას უნდა დაეცვა და ვთხოვე, რომ მხოლოდ რამდენიმე დღით გადაედო ხელმოწერა და არა ისე, როგორც თავად აცხადებს, რომ უარს ეთქვა მასზე. რაც შეეხება ზოგადად პროცესს, რომელიც თავდაცვითი შესაძლებლობის განვითარებას ეხება, ის დღესაც წარმატებულად მიმდინარეობს სამინისტროში, რაც უფრო მეტი ჭორობა, მითქმა-მოთქმა იქნება, ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას მეტი ზიანი მიადგება,“ - განაცხადა ჯანელიძემ.

მთხრობა ბაბაძე

ვის როგორ დაუთვლიან ქულას

რა შეიცვალა სოციალურად დაუცველთა სტატუსის მინიჭების მეთოდოლოგიაში

პირველი აპრილიდან სოციალურად დაუცველებს სტატუსი ახალი მეთოდოლოგიით მიენიჭებათ, რომლის მიხედვითაც სარეიტინგო ქულაზე გავლენას აღარ მოახდენს პირველადი საყოფაცხოვრებო ტექნიკა. სოციალური მომსახურების სააგენტოს გაიოზ თალაკვაძის თქმით, ერთ-ერთი მთავარი სახსრე, რასაც ახალი მეთოდოლოგია თვალისწინებს, არაობიექტური ქულის მინიჭებისგან ოჯახის დასაცავად სუბიექტური ფაქტორების გამოორიქება, კერძოდ — აღარ გაითვალისწინებენ სოციალური აგენტის სუბიექტური აზრს, რომელსაც აქამდე დიდი გავლენა ჰქონდა სარეიტინგო ქულაზე.

ახალი მეთოდოლოგიის თანახმად, ქულის განსაზღვრისას აღარ გაითვალისწინებენ ოჯახში შემდეგი საყოფაცხოვრებო ნივთების არსებობას: საბჭოთა ავტომობილები, ტელევიზორი, მაკივარი, სარეცხი მანქანა, გაზქურა, წყლის გამათბობელი ავზი, გაზის წყლის გამათბობელი, გაზის გამათბობელი, ვიდეო ან ციფრული ფოტოკამერა, ვიდეომანტოფონი ან DVD ფლეერი, დენის გენერატორი, კონდიციონერი, სამზარეულოს კომბაინი, ჭურჭლის სარეცხი მანქანა, გათბობა ან თუ ცხელი წყლით მომარაგების ინდივიდუალური სისტემა. სააგენტოს ინფორმაციით, სტატუსის განსაზღვრისას ახალი მეთოდოლოგია ორიენტირებული იქნება ოჯახების შემოსავლებზე ან მხოლოდ მე-

ახალი ფორმულა და ბანაფიტაბის ახალი სტრუქტურა. ცხელი ფორმულა. ცხელი ფორმულა. ცხელი ფორმულა.

მოსავლის მომტან ქონებაზე და სოციალურად დაუცველის სტატუსის მიმღები შეიძლება გახდეს ოჯახი, რომელსაც არ აქვს დამატებითი ბინა, მიწის ნაკვეთი სახანავათესად და ა.შ. სტატუსის მინიჭების ახალი მეთოდოლოგიის გარდა, იცვლება შემწეობის გაცემის სისტემაც, კერძოდ კი, ქულათა მაჩვენებელი ხუთ კატეგორიად დაიყო. თუ აქამდე შემწეობის გასაცემად მაქსიმალური ქულა 57 000 იყო, ახლა მას კიდევ ორი ჯგუფი 60 000-მდე და 65 000-მდე ქულის მქონე ოჯახები დაემატება. გარდა ამისა, სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის გაიოზ თალაკვაძის თქმით, იქნება კიდევ ერთი ჯგუფი 65 000-დან 100

000-მდე ქულის მქონე ოჯახებისა, რომლებიც უფრო დაბალი ქულის მქონე ოჯახების მსგავსად, თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად 10-ლარიან დანამატს მიიღებენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს კატეგორია არ იქნება ბენეფიტის მიმღები. გაიოზ თალაკვაძე ამბობს, რომ შემწეობის გაცემისას მოხდება სოციალურად დაუცველების დიფერენცირება, ანუ ქულების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად დაყოფა. ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო მეტად გაჭირვებული ოჯახები, მეტ დახმარებას მიიღებენ. ოჯახებს, რომლებსაც 30 000-მდე ქულა ექნებათ, 60 ლარი დახმარება დაენიშნებათ, 60 000-65 000 ქულის მქონე ოჯახები კი

30 ლარ დახმარებას მიიღებენ. ასევე, ამჟამინდელი მეთოდისგან განსხვავებით, როცა ოჯახის პირველი წევრი 60 ლარს იღებს და დანარჩენი — 48 ლარს, ახალი მეთოდით ოჯახის ყველა წევრი ყველა დონეზე თანაბარ დახმარებას მიიღებს.

ოჯახები, რომლებსაც უკვე მინიჭებული აქვთ სოციალურად დაუცველის სტატუსი და იღებენ დახმარებას, 2015 წლის განმავლობაში ეტაპობრივად, მათ მიერ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით გადაამოწმდებიან. სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელის თქმით, ეს 120 000-ზე მეტი ოჯახია, ამიტომ მათ გადაამოწმებას დრო დასჭირდება და პროცესი, საჯაროდ, მთავარი წლის პირველი კვარტალისთვის დასრულდება.

იმ ოჯახებში, რომელთაც წარსულში მაღალი ქულები მიენიჭათ და ახალი მეთოდით სურთ შეფასება, ხელმოკრედ უნდა დაწერონ განცხადება სოციალური მომსახურების სააგენტოში.

სოციალური მომსახურების სააგენტოს წინასწარი გათვლით, ახალი მეთოდოლოგიის ამოწმება რამდენიმე ასეული ათასით გაზრდის სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობას.

სტატუსის მინიჭების ახალი მეთოდზე საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო და გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) დაახლოებით ორი წელი მუშაობდა.



ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სამმხრივი მემორანდუმი გაფორმდა

სოფლის მეურნეობის სამინისტროში ქვეყანაში პირუტყვის დაავადებების რისკის შემცირების, მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობის, შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების ქმედითუნარიანობისა და ეფექტიანობის გაძლიერების მიზნით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას „მერსი ჯორჯის“ შორის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ზაზა დოლიძემ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „მერსი ჯორჯის“ საქართველოს წარმომადგენლობის ACP-ის პროგრამის ხელმძღვანელმა, ჰელენ ბრადბერომ მოაწერეს ხელი.

„აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში, საქართველოს რეგიონებში განთავსებული ბიოუსაფრთხოების პუნქტები, ხელს შეუწყობს ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვას და მნიშვნელოვან შედეგებს ცხოველთა დაავადებების გავრცელებას. ქვეყნის მასშტაბით, პირველ ეტაპზე 5 ბიოუსაფრთხოების პუნქტის გახსნა იგეგმება, — განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ზაზა დოლიძემ.

„დღეს გავფორმეთ მემორანდუმი, რომლის ფარგლებში მოხდება პირუტყვის გადასარეკი ტრასების აღდგენა, მოდერნიზება და ბიოუსაფრთხოების პუნქტების მოწყობა. აღნიშნულ ტრასებზე წელიწადში ორჯერ 100 ათასობით ცხვრისა და საქონლის გადარეკვა ხდება კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, თუშეთის და ქვემო ქართლის მიმართულებით. აღნიშნული ტრასების რეაბილიტაცია საბჭოთა კავშირის დროის შემდეგ არ განხორციელებულა. ახლა კი, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად შევძლებთ მის აღდგენას და თანამედროვე სტანდარტებით მოწყობას,“ — განაცხადა ჰელენ ბრადბერი.

გასულ წელს ქვემო ქართლის რეგიონში გამავალი პირუტყვის გადასარეკი ტრასაზე ბიოუსაფრთხოების პუნქტების განსათავსებელი ტერიტორიების შერჩევა განხორციელდა. ბიოუსაფრთხოების პუნქტები გულისხმობს შემოღობვას, ბეტონის საფარით მოწყობილ ტერიტორიას, სადაც განთავსებული იქნება პირუტყვის სადღეინფექციო გასაბანი აუზები, სადღეინფექციო საშხაპებები, წყლის რეზერვუარები, სტაციონალური კრემატორიუმები, საწყობი, ვეტპუნქტი და ა.შ. ბიოუსაფრთხოების პუნქტების მოწყობის უმთავრესი მიზანია, თავიდან იქნეს აცილებული დაინფიცირებული პირუტყვის ტრასებზე მოძრაობა და ინფექციების გადატანა-გავრცელება. დაგეგმილია ბიოუსაფრთხოების 5 პუნქტის მოწყობა დედოფლისწყაროს, სიღნაღის, გარდაბნის, მარნეულის და ბოლნისის ტერიტორიებზე. აღნიშნული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესაბამისად, ბიოუსაფრთხოების ხუთი პუნქტიდან ორს (გარდაბანსა და მარნეულში) მოაწყობს „მერსი ჯორჯის“, ხოლო სამს (დედოფლისწყაროში, სიღნაღსა და ბოლნისში) სურსათის ეროვნული სააგენტო.

„პირუტყვი საგანგაშო...“ — რაზე მიუთითებს სახალხო დამცველი გამოქვეყნებულ ანგარიშში

საქართველოს სახალხო დამცველმა პარლამენტს გასული წლის ანგარიში წარუდგინა. ამასთან დაკავშირებით უჩა ნანუაშვილმა პრესკონფერენცია გამართა და მედიას ანგარიშში მოყვანილი ფაქტები ზოგადად გააცნო.

ანგარიშში მიმოხილულია საქართველოში გასულ წელს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები და ტენდენციები. ასევე არის საუბარი ამ კუთხით ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან გადადგმული ნაბიჯების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ქვეყანაში.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად ანგარიშში აღნიშნულია, რომ გასულ წელს კვლავ მაღალი იყო მოქალაქეთა მომართვიანობა სახალხო დამცველის ოფისში. 2014 წელს 7 ათასამდე განცხადება იქნა დასაშვებლად მიჩნეული, რაც საგრძნობლად გაზარდილი მაჩვენებელია და მეტყველებს ოფისისადმი გაზარდილ მოლოდინებზე, დარღვეული უფლებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ქვეყანაში თავისუფალი გარემოს არსებობაზე.

2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს არაერთმა პირმა მიმართა სამართალდამცავი ორგანიზების წარმომადგენელთა მხრიდან სავარაუდოდ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით. მონიტორინგმა ცხადყო, რომ ადგილი ჰქონდა დაკავების დროს პოლიციის თანამშრომლების მხრიდან გადადგმული ძალის გამოყენების ტენდენციას. პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ასეთი ფაქტები უფრო ხშირია დასავლეთ საქართველოში. სამწუხაროდ, აღნიშნული დანაშაულების გამოძიების და დამნაშავე პირთა პასუხისმგებში მიცემის კუთხით საქართველოს პროკურატურის საქმიანობა არაეფექტურია.

დღემდე უცნობია 2013-2014 წლებში განხორციელებული საქმეების გამოძიების შედეგები, მათ შორის, თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების თავისუფლების სავარაუდოდ უკანონო აღკვეთის, ივანე მერაბიშვილის საპატიმრო დაწესებულებიდან სავარაუდოდ უკანონო გაყვანასთან დაკავშირებული ქმედებებისა და დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის ცემის ფაქტებზე. კანონის მოთხოვნათა სავარაუდო დარღვევის შესახებ, ლეგიტიმური კითხვები რჩებოდა ასევე, ე.წ. „ტრაქტორების საქმეზე“, რაც გამოძიების სრულყოფილად ჩატარებას საჭიროებს, თუმცა ამ საქმეებთან დაკავშირებით რაიმე პროგრესი არ შეიმჩნეოდა. ლეგიტიმური კითხვები რჩებოდა პროკურატურის, როგორც სისხლის სამართლებრივი დევნის განმარტაციულ ეტაპზე ორგანოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის შეფასებით, პროკურატურის მხრიდან აუცილებლობას არ წარმოადგენდა ე.წ. „კაბელების საქმისთვის“ საიდუმლო გრიფის მინიჭება მთლიანი საქმისთვის, რამაც გამოძიების საწყის ეტაპზე ხელი




უჩა ნანუაშვილი

ნო აღკვეთის, ივანე მერაბიშვილის საპატიმრო დაწესებულებიდან სავარაუდოდ უკანონო გაყვანასთან დაკავშირებული ქმედებებისა და დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის ცემის ფაქტებზე. კანონის მოთხოვნათა სავარაუდო დარღვევის შესახებ, ლეგიტიმური კითხვები რჩებოდა ასევე, ე.წ. „ტრაქტორების საქმეზე“, რაც გამოძიების სრულყოფილად ჩატარებას საჭიროებს, თუმცა ამ საქმეებთან დაკავშირებით რაიმე პროგრესი არ შეიმჩნეოდა. ლეგიტიმური კითხვები რჩებოდა პროკურატურის, როგორც სისხლის სამართლებრივი დევნის განმარტაციულ ეტაპზე ორგანოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის შეფასებით, პროკურატურის მხრიდან აუცილებლობას არ წარმოადგენდა ე.წ. „კაბელების საქმისთვის“ საიდუმლო გრიფის მინიჭება მთლიანი საქმისთვის, რამაც გამოძიების საწყის ეტაპზე ხელი

ანალიზი

საქართველოში პოლიტიკოსების მიმართ ნდობა მკვეთრად დაეცა

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) კვლევამ, დღეისათვის ყველაზე რეიტინგული პოლიტიკოსები გამოავლინა. „17 მაისი“ გთავაზობთ მონაცემთა ანალიზს იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალა პოლიტიკურ ლიდერთა მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება წინა წელთან შედარებით. ამისთვის ამავე კვლევითი ინსტიტუტის გასული წლისა და დღევანდელ შედეგებს შევადარებთ:



პოლიტიკოსთა რეიტინგში წელს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგუენკო 62 პროცენტით ლიდერობს. თუმცა, შარშან მისი რეიტინგი მოწინავე როგებშიც ვერ მოხვდა; მეორეადგილოსანის, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის წილგანდელ რეიტინგში საგრძნობი კლებაა, რამდენადაც შარშანდელი მონაცემით ის 74 პროცენტი იყო, წელს კი 62 პროცენტამდე დაეცა.

წელს მოსახლეობის 57 პროცენტმა თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ალასანია დადებითად შეაფასა. შარშან მისი რეიტინგი 80 პროცენტს შეადგენდა, რის გამოც ყველაზე რეიტინგულ პოლიტიკოსად დასახელდა. საზოგადოებას ახსოვს დაუსუსტებული ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ განაწყენა მეორე ირაკლი თავდაცვის მინისტრის რეიტინგმა.

57 პროცენტით მეოთხე ადგილზე გასული დავით უსუფაშვილის რეიტინგიც საგრძნობლად არის შემცირებული,

რამდენადაც შარშან ის 74 პროცენტს შეადგენდა.

იგივე ტენდენცია მეხუთე ადგილზე გასული ირაკლი ლარიბაშვილთან მიმართებითაც — პრემიერს შარშანდელი 79 პროცენტი 56-მდე შემცირდა. ალასანიანისა, რომ ალასანიამ პრემიერის რეიტინგში წელსაც აჯობა.

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი შარშან 66 პროცენტის რეიტინგით ჰქონდა. კვლევებიდან ჩანს, რომ საზოგადოებას მინისტრისადმი გრძნობები იქვე გაუნელდა, როგორც სახელისუფლებო გუნდის სხვა წევრების მიმართ და შესაბამისად, წულუკიანის რეიტინგი 51 პროცენტამდე დაეცა.

წლებანდელ რეიტინგულთა შედეგულში 48 პროცენტით ბოლო ადგილზე გასული კახა კალაძე შარშან გამოკითხულთა 65 პროცენტს მოსწონდა. შედარების შედეგად შეგვიძლია,

შეუშალა დაცვის მხარის შეუფერხებელ წვდომას საქმის მასალებისადმი. მოგვიანებით პროკურატურამ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და საქმის მასალების მნიშვნელოვან ნაწილს მოხსნა გრიფი.

ვითარება კვლავაც საგანგაშო და შემამფოთებელია ბავშვთა უფლებების დაცვის მდგომარეობის კუთხით. განხორციელებულმა მონიტორინგმა გამოავლინა ბავშვთა უკიდურესი სიღარიბე და არასრულწლოვანთა ცხოვრების არასათანადო დონე, მიუწვდომელი სახელმწიფო ჯანდაცვის მომსახურება. ბავშვთა სიკვდილიანობისა და სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი, ბავშვთა მიმართ ძალადობისადმი საზოგადოების ტოლერანტული დამოკიდებულება, ბავშვთა განსაკუთრებით მიმღე მღვთმარებობა მაღალმთიან რეგიონებში ხელისუფლების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს. პრობლემას წარმოადგენს განათლების დაბალი ხარისხი, პედაგოგთა არასაკმარისი კვალიფიკაცია, ინკლუზიური განათლების არასათანადო დანერგვა და ფიზიკური გარემოს უზარისხო ადაპტაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის. მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში არსებობს აღსაზრდელთა მიმართ არასათანადო მოპყრობის, განათლების უფლების სათანადოდ განხორციელების და ბავშვთა ძალადობისგან დაცვის პრობლემები. კვლავ აქტუალურია არასრულწლოვან ბრალდებულთა განკალკეების საკითხი სრულწლოვანი პატივრებისგან.

გასულ წელს დადგენილია არაერთი შემთხვევა, როდესაც პირებს შეეზღუდათ მიმოსვლის თავისუფლება, როგორც საქართველოში შემომსვლელ უცხოელ მოქალაქეებს, ასევე საქართველოს მოქალაქეებს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას. აღნიშნულ შემთხვევებში სახალხო დამცველმა არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად შესაბამისი უწყებებიდან ვერ მიიღო ინფორმაცია შემოსვლა-გასვლაზე უარის თქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შესახებ.

შემოსავლების სამსახურის შეტყობინება დაუბეგრავი მინიმუმით მოსარგებლე პირთა საყურადღებოდ!

სსიპ შემოსავლების სამსახური გაცნობთ, რომ თუ თქვენ მიერ 2014 წელს მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 6 000 ლარს, უფლება გაქვთ შესაბამისი კალენდარული წლის მიხედვით ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავლიდან გამოქვითოთ დაუბეგრავი მინიმუმი — 1800 ლარი — და მოითხოვოთ აღნიშნულზე გადნდელი შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის თანხის დაბრუნება.

კერძოდ, თუ თქვენ მიერ 2014 წელს მიღებული ერთობლივი შემოსავალი 1800-დან 6000 ლარამდეა, მოცემულ შემთხვევაში უფლება გაქვთ მხოლოდ ხელფასის სახით მიღებული შემოსავლიდან დაიბრუნოთ 360 ლარი, ხოლო თუ 1800 ლარამდეა, დაბრუნებას ექვემდებარება (მხოლოდ ხელფასის სახით მიღებული შემოსავლიდან) კონკრეტული თანხის 20 პროცენტი.

ამ მიზნით, 2015 წლის 1 აპრილიდან 2015 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, საშუალება გექვსთქვით შეავსოთ დეკლარაცია, პირადი ნომრის მითითებით გაარკვიოთ, სარგებლობთ თუ არა დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის უფლებით, შემდეგ შეავსოთ ელექტრონული დეკლარაცია და შეიტყუოთ თქვენთვის დასაბრუნებელი თანხის თანხობა.

თუ თქვენ არ მიეკუთვნებით დაუბეგრავი მინიმუმით მოსარგებლე პირთა კატეგორიას, დეკლარაციაში პირადი ნომრის მითითების შემდგომ ველარ განავარაუბროთ დეკლარაციის შევსებას და ამის შესახებ სისტემა გაცნობებთ. დეკლარირება შესაძლებელია ინტერნეტის საშუალებით ან/და მითითებული საბანკო დაწესებულების მეშვეობით. ელექტრონული დეკლარაციის წარდგენის შემდეგ, თქვენ მიერ დეკლარაციაში მითითებული საბანკო ანგარიშზე, დაგბრუნდებთ დაუბეგრავი მინიმუმის შესაბამისი თანხა „დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ“ დეკლარაციის რეგისტრაციიდან 3 თვის განმავლობაში.

ამასთან, თუ თქვენ 2013 კალენდარული წლის მიხედვით ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალზე არ გისარგებლიათ დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის უფლებით, შეგიძლიათ მიმართოთ შემოსავლების სამსახურს, არაუგვიანეს 2015 წლის 30 სექტემბრისა.

დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემოსავლების სამსახურის სატელეფონო ცენტრს შემდეგ ნომერზე: (995 32) 22 99 299 ან მოგვმართოთ ელექტრონულ ფოსტაზე info@rs.ge. ასევე, შეგიძლიათ გაეცნოთ შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე www.rs.ge განთავსებულ ხშირად დასმულ კითხვებს.

სსიპ შემოსავლების სამსახური www.rs.ge



სასწავლო-პრაქტიკული კონფერენციის — „რწმენა ჩვენს ცხოვრებაში“ — ნარმატული 30-ე სკოლის

2009 წლიდან, უწყინდესისა და უნეტარების ილია II-ს ლოცვა-კურთხევით და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი ატარებს სასწავლო-პრაქტიკულ კონფერენციას — „რწმენა ჩვენს ცხოვრებაში“.

2014-2015 სასწავლო წელს კონფერენციაში მონაწილეობდა საქართველოში არსებულ სხვადასხვა სკოლის 410-მდე მოსწავლე. მეორე ეტაპზე — „წერის დღეს“ ესწრებოდა 315 მოსწავლე, მესამე დასკვნით ეტაპზე 171 მოსწავლე გადავიდა.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 30-ე საჯარო სკოლის მე-112 კლასის მოსწავლემ გოგა შალამბერიძემ (მე-დავითი ცირა ბრეგვაძე) და წარადგინა ნაშრომი: „ქრისტეს რწმენა ქართველთათვის სამეფო გზა“.

თემის წარმატება ხვდა პირველ ეტაპზე, მეორე საკონკურსო ეტაპზე — „წერის დღეს“, მან დაწერა თავისუფალი თემა: „ადამიანი და სამყარო“, მე-3 ეტაპზე კი წაიკითხა მოხსენება: „ქრისტეს რწმენა ქართველთათვის სამეფო გზა“, რომელმაც კითხვის დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. ავტორს გადაეცა საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის სიგელი, ხოლო მის მიერ წაკითხული თემა დაიბეჭდება წიგნში, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომი.

ვულოცავთ გოგას წარმატებით მონაწილეობას სასწავლო-პრაქტიკულ კონფერენციაში — „რწმენა ჩვენს ცხოვრებაში“.

ღვთის რწმენითა და მადლით ეცხოვროს, კვლავც მრავალი წარმატებები უკურთხოს ღმერთმა ჩვენი სკოლისა და ერის საკეთილდღეოდ.

ლიტვის რესპუბლიკის საელჩომ საქართველოში, აგრეთვე ლიტვაში არსებულმა და მოქმედმა LCC საერთაშორისო უნივერსიტეტმა 2015 წლის 31 მარტს საქართველოს მასშტაბით ჩაატარა „ინგლისური ენის საჯარო მეტყველების“ კონკურსი.

ამ კონკურსში მონაწილეობა მიიღო სსიპ ქალაქ ქუთაისის №12 საჯარო სკოლის XII კლასის ორმა მოსწავლემ: ქეთევან კლდიაშვილმა და ნინო ფოცხორაიამ, ინგლისური ენის მასწავლებელი ანა სივსივე.

საკონკურსო შერჩევის შედეგად, I ადგილი და საგზური ლიტვის რესპუბლიკაში დაიმსახურა ნინო ფოცხორაიამ, ის აგრეთვე დაჯილდოვდა შესაბამისი დიპლომებით და სერტიფიკატებით. სერტიფიკატი გადაეცა ინგლისური ენის მასწავლებელს ანა სივსივესაც.

ლოგიკური აზროვნების საწყისები

ინტერვიუ ანდრია რაზმაძის სახელობის ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის დირექტორ გენადი მარგველაშვილთან

— ბატონო გენადი, წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენი გაზეთში დაიბეჭდა სტატიათა ციკლი თქვენი სკოლის შესახებ, რომლის მიღწევები ქალაქისთვის უცხო არ არის, ტექნიკური მიმართულების საგნებში (მათემატიკა, ფიზიკა, ინფორმატიკა, ქიმია, ბიოლოგია) თქვენი წარმატებები თვალსაჩინოა, ახლა ამას დამატება საგანმანათლებლო წრეც, სულ ახლახან სკოლაში გაიხსნა დავაწმომისილი პედაგოგის აგლია აბზიანიძის სახელობის მათემატიკის კაბინეტი და როგორც იტყვიან, სტატიათა ციკლი განახლდა, ახლა რას გეტყვით ამის შესახებ?

— სასაუბრო ბევრია, ქალბატონო ნატო, კარგი შანსია, გაზეთის საშუალებით ხმა მივაწვდინო ერთგულ მკითხველს და ყველა ქუთაისურს, პირველ რიგში კი, მინდა, მივესალმო და წინსწრებით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცო მათ და ყველა მართლმადიდებელს.

რაც შეეხება კითხვას, შეგვცდები, მოკლედ ჩამოგივლოთ ის მიმართულებები, რომელთაც უპირატესობას ვანიჭებთ, ე.წ. სტრატეგიები, რომელთა განხორციელება სკოლას კიდევ უფრო გააძლიერებს, ხოლო სხვა კითხვებში კიდევ უფრო დავკონკრეტდეთ და გავანალიზოთ თითოეული თემა თუ საკითხი... მაშ, ასე:

ა) სკოლა გაძლიერებული ფიზიკისა და მათემატიკის სტატუსისაა, ანუ თი საქართველოში სულ ოთხიდან, ერთ-ერთი მათგანის, ე.წ. „კომპოზის“ სკოლის კვლავ ჩვენ ჩამოვყალიბებთ და გავხსენით „საკვირაო სკოლა“, რომელიც ფუნქციონირებს უკვე მესამე წელია, მესამედან მეშვიდე კლასელთათვის, პირობითად, ამ სწავლების კურსს, რომელიც აბსოლუტურად ნებაყოფლობითია, ჩვენ დავარქვით „ლოგიკური აზროვნების საწყისები“ კურსი, სწავლების თემატიკა აქ არ თანაბრდება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტთან. ჩვენ ვცდილობთ, დაწესებითი საფეხურის მოსწავლეები შევჩვიოთ დამოუკიდებელ, ლოგიკურ, კრეატიულ აზროვნებას, ფაქტობრივად, არ გვაქვს საშინაო დავალებები და უკვე გვაქვს წარმატებები...

სათქმელი რომ არ გავგვიცეს, გეტყვით, რომ ამ სკოლაში შაბათ-კვირაობით სხვა სკოლიდანაც დადიან საუკეთესო მოსწავლეები, რომლებიც იმარჯვენ მსოფლიოში მომრავლებულ სხვადასხვა კომერციულ ოლიმპიადებზე, თუმცა სწორედ იმ სკოლის სახელით, სადაც სწავლობენ. კარგი იქნებოდა, თუ სხვებზე, რომელთაც აქვე მათემატიკური და ლოგიკური უნარები, მიბაძვენ მათ და ჩვენს სკოლაში გადმოსვლის გარეშე „გაუსინჯავენ გემოს“, „საკვირაო სკოლის“ ამოცანებს. რაც შეეხება გადასახადს, საუკეთესო წარმატების მქონე მოსწავლეთათვის აქ სწავლა უფასოა, ასევე მნიშვნელოვანი შედეგებია სოციალურად დაუცველი თუ მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, თუმცა არც დანარჩენთათვისაა ხელმოუწველად.

ბ) სტანდარტის მიხედვით, სკოლის სტატუსის შესატყვისი ცვლილება საბაზო საფეხურიდან ხორციელდება. სწორედ ამ საფეხურის დასაწყისიდან (VII კლასიდან) შეფასებთა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დახმარებით ვატარებთ გამოცდას მათემატიკაში, რათა ყველა მოსწავლეს მიეცეს შანსი, ჩვენი თუ სხვა სკოლიდანაც — თუკი მას ტექნიკური მიმართულების ინტერესი გაღვივებული აქვს, ეს „მარცალი“ კარგ „ნიადგეში“ ჩააგდოს. სწორედ VII კლასიდან მნიშვნელოვანდ იზრდება

დატვირთვა ფიზიკისა და მათემატიკის მიმართულებებით, გახსნილია ჩვენი სკოლის მოსწავლეთათვის უფასო წრეები ამ საგნებში, რომელთაც ახლა უკვე ემატება ქიმიკ-ბიოლოგიის (VIII კლასიდან) წრეები, თუმცა არც ერთი სხვა საგანი შეზღუდული არაა. მივესალმებოდი, მაგალითად, სამოქალაქო განათლების წრის არსებობას, მით უფრო, რომ გვეყავს გამარჯვებული მოსწავლეები, რომლებმაც, ფაქტობრივად, მხოლოდ საკუთარი შრომის ხარჯზე მიაღწიეს წარმატებას...

რა თქმა უნდა, ამ წრეებშიც შეუძლიათ იარონ სხვა სკოლის მოსწავლეებმა, ჩვენ არავითარი შეზღუდვა არ გვაქვს.

გ) განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებით გაუთვალისწინებელი წრეები, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, პროგრამირების, ანუ „ინფორმატიკის“ წრე, რომელიც სკოლისთვის უკვე ტრადიციულად ძლიერი მიმართულებაა და ახლა მას უკვე დამატება მეორე მიმართულება „საგანმანათლებლო წრე“, რომლის მუშაობას უკვე სერიოზული შედეგი აქვს. ორივე ამ წრეს ჩვენ მიუძღვნით ცალკე სტატეიები თქვენს გაზეთში.

დ) განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჩვენთან აბიტურიენტთა სწავლებას. ჩვენი სურვილი კი არის, რომ მათ შეექმნათ სრული კომფორტი სწავლების თვალსაზრისით, რასაც ნაწილობრივ ვაღწევთ ხოლმე, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, ეს ვრცელი თემაა, უფრო გლობალურად შესასწავლი, რომელსაც ახორციელებს კიდევ განათლების და მეცნიერების სამინისტრო, ჩვენი სურვილია, მოსწავლის დამატება სკოლაში და სწორი გეზის მიცემა, ამისთვის კი საჭიროა მეტი თანამშრომლობა და სიყვარული როგორც სწავლებას, ასევე სკოლის მიმართ...

— ერთბაშად ბევრი მიმართულებით გავიხსენებ კითხვები, რომ დავუბრუნდეთ „ლოგიკური აზროვნების საწყისების“ თემს და „საკვირაო სკოლას“, როგორც ვიცო, სკოლას აქვს დაწესებითი საფეხური, განა აქ ვერ განახორციელებდით ამ ტიპის სწავლებას?

— ჩვენი დაწესებითი საფეხურის მოსწავლეები („საკვირაო სკოლის“ ხელშეწყობითაც) წარმატებულ და გამარჯვებულ მოსწავლეები ათეულში ხვდებიან. იქამდე, რომ მაგალითად, ერთ-ერთი ოლიმპიადის გამარჯვებულ მასწავლებლებში (10 საუკეთესოში საქართველოს მასშტაბით) ზუსტად ნახევა ჩვენი სკოლის მასწავლებელი იყო, მაგრამ I კლასელთა ელემენტარული რეგისტრაციის ფონზე, ჩვენს სკოლაში



გენადი მარგველაშვილი

ხვდებიან სწორედ ის მოსწავლეები, რომელთა შობლებმა თუ მეტრეებმა უბრალოდ მოასწრეს რეგისტრაცია დანარჩენებს, რეგისტრაცია კი ჩვენი სკოლისთვის 3-5 წუთში უკვე დარსულებულია ხოლმე.

ალბათ, დამეთანხმებით, რომ ვინც რეგისტრაცია მოასწრო და სკოლაში ჩაირიცხა, მათ შორის ბევრის აზროვნება შეიძლება არ იყოს „ტექნიკური“ მიმართულების, ისევე, როგორც ბევრი მოსწავლე, რომელიც სწორედ ძლიერია ტექნიკური მიმართულებით, ვერ დარეგისტრირდა (ადგილების შეზღუდვის გამო). ცხადია, I კლასელთათვის გამოცდის მოწყობა სკოლაში მოსახვედრად ყოველდღე გამორიცხებულია, ამიტომ ეს სელექცია რაც შეიძლება უმეტესწილად და რუდუნებით უნდა განხორციელოთ.

არ შევუქმნათ ცრუ ილუზია შობლებს, ხშირად და სწორად ჩაყენოთ საქმის კურსში. პირადად მე, ისეთივე დარღვევად მიმაჩნია მოსწავლის უფლებების — ძალად ასწავლო მეთემატიკა მას, ვისაც ამის უნარი და ნება არ აქვს, როგორც — არ მისცე მათემატიკის სწავლების შესაძლებლობა მას, ვისაც ამის შესაძლებლობა და ნება აქვს. აქ უნდა გამოიკვეთოს სწორედ სკოლის, პედაგოგის, მშობლის როლი, თანამშრომლობა მოსწავლის სასარგებლოდ, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ვაწყდებით წინააღმდეგობებს სწორედ შობლების მხრიდან...

— შობლები კი მაინც ამჯობინებს შეილის თქვენს სკოლაში გადმოყვანას...

— შედგად ვიღებთ მოსწავლეს, რომელიც (თუ, რა თქმა უნდა, მისი აზროვნება არ არის მათემატიკით გაჯერებული) თავის ნების წინააღმდეგ იზუთხავს და იზუპირებს მათემატიკას, უკვე დაწყებითი საფეხურიდან ემზადება დამატებით ე.წ. „რეპეტიტორთან“, რაც საერთოდ კლავს მასში შემოქმედს. იზოთი გამოწკისის გარდა, მოგეხსენებათ პატარა ბავშვიც კი, როცა სიარულს სწავლობს, უკადრისობს, როცა ვინმე გადაწყვეტს მას მიეხმაროს და ცდილობს, მას ხელი გააშვეზინოს. ვფიქრობ, ბავშვს მეტი თავისუფლება უნდა მიეცეთ და ეს, პირველ რიგში, მშობლებმა უნდა გაცნობიეროს. თითოეული ინდივიდი უნიკალურია და თუ ამ ეტაპზე, რომენი არ ექნება მზაობა მეთემატიკის

შესწავლისა, ეს არ ნიშნავს, რომ მას ყოველგვარი პერსპექტივა გაუქრა. ზოგს ვცინებ ეხსენება მათემატიკოსობის „მუზა“, ზოგი შეიძლება ბრწყინვალე თეატრალი, ხელოვანი, სპორტსმენი გამოვიდეს. თხოვნაა, ნუ დავაზიანებთ ბავშვების სულს, ის რასაც ჩვენ „საკვირაო სკოლაში“ ვაკეთებთ, ხშირ შემთხვევაში თამამის პრინციპზეა აგებული, ვაზრდილია მოსწავლეთა ჩართულობა, ის არ ითვლება იმ შემთხვევაშიც კი, თუ თავად ამოცანის ამოხსნას ვერ გაიზარებს.

მაგრამ აქ ვაწყდებით ისევ შობლების არასწორ დამოკიდებულებას, რომლებიც თავიდან ცდილობენ, დაეხმარონ მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაში, ხშირად არასწორი გზით და როგორც წესი, უხმობენ საკუთარი აზროვნების განხის შესაძლებლობას...

— როგორ ხდება მოსწავლეთა მიღება ამ წრეებზე?

— ამისთვის საკმარისია განაცხადის შემოტანა სკოლის ადმინისტრაციაში: ან ძირითად კორპუსში, ან ბატონ მერაბ გრიგოლაშვილთან — დაწყებითების კორპუსში. ელემენტარული ფორმალობის გავლის შემდეგ, რაც წესდების გაცნობას უკავშირდება, დაიღება ხელშეკრულება მშობლებთან, სწავლება სექტემბრიდან იწყება, სამი სამთვიანი მოდელისგან შედგება, მოსწავლის ჩართულობის პრინციპი არ არის დამოკიდებული, რომელი მოდელიდან ჩაერთვება იგი „საკვირაო სკოლაში“, შეიძლება ძველი თემებიც გაიმეოროთ და ა.შ.

— როდისდა ასწრებთ ამ მოსწავლეებთან მუშაობას და თანამშრომლობას, როცა თითქმის ყველა შაბათ-კვირა გადატვირთულია კომერციული ოლიმპიადებით, რომელთა ჩამოთვლა შორს წავაყვანდა...

— გეთანხმებით, სავალალო მდგომარეობაა. ვინმემ დაწვრილებით უნდა შეისწავლოს, რამდენად გამართლებულია, რომ ხშირად ერთი და იმავე დღესაც კი მოსწავლეს უწევს ორ ან სამ ამხარა ტურნირში მონაწილეობის მიღება.

რას ვიღებთ აქედან, ნიჭიერი მოსწავლე ტესტურ ტურში ხშირად გამარჯვებს, გაიზრდება თუ შემცირდება მისი მოტივაცია?

როცა პასუხის გაცემა მხოლოდ ტესტის შემთხვევაზეა, ვფიქრობ, ეს ნიჭიერი მოსწავლის გაზარდაცხადს უფრო შეუწყობს ხელს, ვიდრე შემდგომ მზაობას — შეისწავლოს მეტი, შეიმეცნოს გაცილებით ლამაზი მეთოდები და ა.შ.

ჩვენ „საკვირაო სკოლაში“ ვასწავლით იმას, თუ როგორ უნდა გამარჯვონ მოსწავლეებმა არა მხოლოდ ამ ოლიმპიადებში, არამედ ისეთ ოლიმპიადებში, სადაც აუცილებელია მსჯელობის ტექსტური გადმოცემა, ანუ ე.წ. „ღია დავალება“.

ანუ ჩვენთვის არაა მთავარი მონაწილეობა, არამედ მთავარია გამარჯვება, რომელიც არ ნიშნავს ვინმეს დამარცხებას, გამარჯვება ამოცანაზე, სწორი, მწყობრი, ლოგიკური აზროვნებით, შეუპოვობა, შრომისმოყვარეობა, ესენია ძირითადი პრინციპები...

— სკოლაში გაიხსნა აგლია აბზიანიძის სახელობის მათემატიკის კაბინეტი, ამ ფაქტს ერთ-ერთ წინა ნიშნად გამოგვხმაურეთ, მაგრამ სკოლა ხომ ფიზიკა-მათემატიკურია...

— მიგხვდით, სხვათა შორის სრული მზაობაა, ფიზიკის კაბინეტიც მოვაწყეთ, ისეთი, როგორც XXI საუკუნის და ჩვენს სკოლას შეეფერება. ამისთვის კი აუცილებელია მძლავრი ლაბორატორიის არსებობა, მუშაობა ამ მხრივ დაწყებულია. როგორც ყოველთვის, ზურგს ვვიძლიერებთ როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ასევე ქალაქის მერია, სკოლას მრავალი სპონსორი და მეოხიც გამოუჩნდა.

ამაზე უფრო დაწვრილებით შემიძღვებ მოგახსენებთ.

— დიდი მადლობა პასუხებისთვის.

— მადლობა თქვენ!



# ჯანდაცვის მინისტრი C ჰეალთის დეპარტამენტს აწვდის ახალ ინფორმაციას

ჯანდაცვის მინისტრი C ჰეალთის დეპარტამენტს აწვდის ახალ ინფორმაციას მკურნალობის დაწესებულებაში დაინფიცირებულ პაციენტებს, არ მოხმარონ ალკოჰოლი და ზედმეტი ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატები.



დავით სარგაძე

დავით სარგაძემ საკმაოდ ორიგინალური შედარება გააკეთა ალკოჰოლის თემასთან დაკავშირებით:

„ქართული და უცხოელი ქირურგების მონაყოლიდან ცნობილია, რომ უცხოელი პაციენტი ოპერაციის მერე კითხულობს, როდის შეძლებს ვარჯიშს და როდის შეუძლია დაკავდეს სექსით, ხოლო ქართველი პაციენტი კითხულობს — ექიმო, როდის დავლევ ან რამდენის დაღვინის უფლება მაქვსო. ან მოვლენ და გეტყვიან, ჩემმა მეზობელმა ჩემნაირი ოპერაცია გაიკეთა და ის სვამს და მეც რომ დავლიოო.“ — განაცხადა დავით სარგაძემ.

მისივე თქმით, ის პაციენტები, ვინც დაიწყებენ მკურნალობას, ძალიან კარგად უნდა აცნობიერებდნენ, რომ მკურნალობა არ ნიშნავს, რომ ღვიძლის ფუნქცია სრულად და მისიერად დაუბრუნდება თავის საწყის მდგომარეობას, ეს არის ინფექციის მოსპობა და არა საკუთრივ ღვიძლის ფუნქციის გაუმჯობესება. ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც პაციენტებმა გაიგეს ამ მოსალოდნელი პროექტის შესახებ და რეჟიმს, თავის მოვლას თავი დაანებეს.

„ხშირია შემთხვევა, როდესაც ადამიანები ფიქრობენ, რომ მალე დაიწყებენ მკურნალობას და საერთოდ ხელი აიღეს რეჟიმის დაცვაზე, ღებულობენ ალკოჰოლს, არ იცავენ საბაზო პრინციპებს. კატეგორიულად მიუღებელია და ასეთი დამოკიდებულება ამ დაავადებისადმი არის ფატალური შედეგების მომტანი. მათ უნდა დაიცვან ის ძირითადი საბაზო წესები, რაც არის მოწოდებული ამ დაავადების დროს. კატეგორიულად მიუღებელია ალკოჰოლის, ტკივილგამაყუჩებულების ზედმეტად გამოყენება, არასწორი კვება.“

კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, ანტივირუსული მკურნალობის

პროექტი დადასტურებულად დაიწყო, პროექტს ხელი მოეწერება 21 აპრილს და უახლოეს დღეებში დაიწყება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ძირითად თავის მოვლის წესებზე უარი თქვან, ეს არის ფატალური რისკების შემცველი ქმედება.“ — განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა დავით სარგაძემ.

მკურნალობა ახალი თაობის პრეპარატით „სოფოსბუვირით“ განხორციელდება. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოში C ჰეალთით 200 ათასი ადამიანი დაავადებული, თუმცა არ არის გამოცხადებული, რეალური ციფრი გაცილებით დიდი იყოს.

# სურსათის მოხმარების დაზარალებით?

## გსურთ ზიანის ანაზღაურება?

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი გთავაზობთ:



**ბაიბე რას ჭამ!**  
მომხმარებლის უფლებების დაცვის საზოგადოებრივი მოძრაობა

- უფასო იურიდიულ კონსულტაციას;
- მეწარმესთან მოლაპარაკებაში დახმარებას;
- უფასო საადვოკატო მომსახურებას;
- აგრეთვე, სასამართლო და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურებას.

დარეკეთ ცხელ ხაზზე: **(032) 242 44 46**

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს:

[www.mkidveli.ge](http://www.mkidveli.ge) ან [www.fb.com/mkidveli](http://www.fb.com/mkidveli)

„ევროკავშირთან დაახლოების გამჭვირვალე პროცესი: სანიტარული და ფიტოსანიტარული პოლიტიკა საქართველოსა და მოლდოვაში“.

პროექტს ახორციელებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით.



ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი



# ბაიბე რას ჭამ!

მომხმარებლის უფლებების დაცვის საზოგადოებრივი მოძრაობა

## დაბაეჭვით სურსათმა, რომელსაც მოიხმართ?

- არასათანადო პირობებში იყიდება, ინახება ან გადაიზიდება;
- ვადაგასულია, ან მოხმარების ვადა გაუგებარია;
- გაფუჭებულია, დაბინძურებულია, ან სხვა მიზეზის გამო გამოუსადეგარია საკვებად;
- ეტიკეტი გაუგებარია, ან არა ხართ დარწმუნებული, რომ ის პროდუქტის შიგთავსს შეესაბამება.

## მოგვმართეთ მოხმარებელთა დახმარების ცენტრებში!

ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმარებთ იმისათვის, რომ თქვენს მიერ აღმოჩენილი დარღვევა რაც შეიძლება სწრაფად აღმოიფხვრას.

ჩვენ დავთვალთვლებთ თქვენს მიერ მითითებულ სასურსათო ობიექტს, შევიძინებთ თქვენს მიერ დასახელებულ სურსათს, შევამოწმებთ მის ეტიკეტს და, შესაძლებლობის ფარგლებში, სურსათის ლაბორატორიულ შემოწმებასაც მოვახდენთ. გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაციას გავუგზავნით სურსათის ეროვნულ სააგენტოს, ან სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებას, თავად მეწარმეებს, მედია-საშუალებებს, გამოვაცხევებთ ვებგვერდებზე და გავავრცელებთ სოციალური ქსელების მეშვეობით.

## დარეკეთ ცხელ ხაზზე!



**თბილისი —**  
ტელ.: 219 42 42;  
[momxmarebeli.ge](http://momxmarebeli.ge);  
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი



**ახალციხე —**  
ტელ.: 551 555 267,  
ელფოსტა:  
[mmakhaltshikhe@gmail.com](mailto:mmakhaltshikhe@gmail.com),  
სამედიცინო ეკოლოგიის ასოციაცია



**გორი —**  
ტელ.: 599 534 070,  
598 544 053,  
ელფოსტა:  
[mmcshidakartli@gmail.com](mailto:mmcshidakartli@gmail.com),  
საზოგადოება „ბილიკი“



**ქუთაისი —**  
ტელ.: 570 105 573,  
ელფოსტა:  
[momxmarebeli.kutaisi@greens.ge](mailto:momxmarebeli.kutaisi@greens.ge),

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო

მომხმარებელთა დახმარების ცენტრები მუშაობს პროექტის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაც „ევროკავშირთან დაახლოების გამჭვირვალე პროცესი: სანიტარული და ფიტოსანიტარული პოლიტიკა საქართველოსა და მოლდოვაში“.

პროექტს ახორციელებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით.

**საკონტაქტო პირი:**  
**ლელა ბერძული**, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამის თანამშრომელი.  
ელ.ფოსტა: [lberdzuli@epfound.ge](mailto:lberdzuli@epfound.ge)  
ტელ.: 225-39-42/43,  
მისამართი: თბილისი, კავთაძის ქ. 3.

დამატებითი ინფორმაციისათვის პროექტის შესახებ, შეგიძლიათ ეწვიოთ ვებგვერდს: [www.mkidveli.ge](http://www.mkidveli.ge)



ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი





ცვლილებები სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობაში

საქართველოს კანონში „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ და „გრანტის შესახებ“ გარკვეული ცვლილებები იგეგმება. ამჟამად მიმდინარეობს კონსულტაციები და განხილვები, სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მონაწილეობით.

მოგვხსენებთ, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ საქართველოს კანონი შედარებით ახალია — პარლამენტმა ის 2013 წლის ივლისში მიიღო. წელიწად-ნახევრის განმავლობაში დარეგისტრირდა ასობით კოოპერატივი, პრაქტიკაში გარკვეული მიმართულებები გამოვლინდა, რომლებიც დახვეწას საჭიროებს. კერძოდ, კანონპროექტით შემოღების ახალი ცნებები, რომელთა თანახმადაც კოოპერატივის შემადგენლობაში ახალი ასოცირებული წევრის არსებობა, ასევე დამატებითი საპაიო შენატანის შესაძლებლობა გაჩნდება: კოოპერატივის უკვე არსებული წევრს ექნება შესაძლებლობა, რომ, გარდა საავტორო უფლებების შენატანისა, დამატებითი საპაიო შენატანი განახორციელოს. ასოცირებული წევრი კოოპერატივის სრულფუნქციონირების წევრი არ არის, ის სარგებლობს მხოლოდ ნონ-რეზიდენტული უფლებამოსილებით, მაგრამ აქვს უპირატესი მოგება უფლება კოოპერატივიდან. ასოცირებული წევრობის უფლება ექნება ნებისმიერ პირს, იურიდიულსაც და ფიზიკურსაც, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რაც ასევე სიახლეა: არსებული კანონმდებლობის თანახმად, მუშაობდა მხოლოდ საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ ასოცირებულ წევრს უფლება აქვს მიიღოს საერთო მოგებიდან არაუმეტეს 30 პროცენტისა, დივიდენდის სახით. მეპაიეს, რომელმაც თავისი ვალდებულება ძირითადი პაის შეტანისა უკვე შეასრულა და აქვს შესაძლებლობა, ჩადოს ინვესტიცია თავისივე კოოპერატივში, ამის საშუალება ეძლევა დამატებითი საპაიო შენატანის სახით. ასევე ისიც უფლებამოსილია, რომ 30 პროცენტის ფარგლებში დამატებითი შემოსავალი მიიღოს.

ცვლილებების პაკეტი პარლამენტს, სავარაუდოდ, ერთი თვის ვადაში წარედგინება. კანონში სხვა ცვლილებებიც არის მოსალოდნელი, ევროპულ კანონმდებლობასა და ევროპული კოოპერატივების პრინციპებთან მის დასახლოებლად.

კოოპერატივის შესახებ კანონმდებლობის გარდა, იგეგმება სურსათის უვნებლობის მიმართულებით საჯარო პოლიტიკის გაძლიერებაც. 2015 წლის დასაწყისიდან იღმდღე უკვე განხორციელდა 971 ინსპექტირება. აქედან საწარმოო პროცესი შეუჩერდა 12 ბიზნესოპერატორს, ხოლო დაჯარიმდა 63 ოპერატორი. არაერთ შემთხვევაში გამოვლენილი კრიტიკულად შეუსაბამო დარღვევები საფრთხეს უქმნიდა ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

მოქმედი კანონმდებლობით, იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორს აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მის მიერ წარმოებული სურსათი ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშია, იგი ვალდებულია აღკვეთოს სურსათის სარეალიზაციო ქსელში მოხვედრა ან უზრუნველყოს სარეალიზაციო ქსელიდან ამოღება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიზნესოპერატორი პირველ ჯერზე 1000 ლარით ჯარიმდება, ანალოგიური ქმედების განმეორების შემთხვევაში კი ჯარიმა კვლავ 1000 ლარია.

სამინისტროს მიაჩნია, რომ სურსათის უვნებლობის კონტროლის ეფექტიანად განხორციელებისათვის საჯარო სანქცია სამართალდარღვევის ადგილობრივი უნდა იყოს. ამ ეტაპზე სოფლის მეურნეობის სამინისტრო მიზანშეწონილად მიიჩნევს საჯარო პოლიტიკის გაძლიერებას და ამ საკითხზე გამოხატავს მზადყოფნას დაინტერესებულ მხარეებთან ითანამშრომლოს.

ირინა გურული რადიო „თავისუფლება“

მსირაინიან უპირატეს საგაზაფხულო საშუაობის ხელშეწყობის სამსლიანი პროექტი სრულდა

პირველი გვერდიდან

2013 წლის გაზაფხულზე ამ პროექტის პირველი ეტაპი განხორციელდა და იმ წელს პირველად მოიხსნა ათწლეულობის მანძილზე მიტოვებული და გახრიკებული ველ-მინდვრები. სოფლად მცხოვრებმა თითქმის ყველა ოჯახმა, „აგრო ბარათის“ მეშვეობით შეიძინა მცირე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მცენარეთა მოვლის საშუალებები, სახნავ-სათესი მასალები.

წელს ამ პროექტის, ბოლო, მესამე ეტაპია.

„მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო საშუაობების ხელშეწყობის პროექტი“ წელს 800 ათასი ფერმერი მიიღებს მონაწილეობას და მისი ბიუჯეტი 50 მილიონ ლარს შეადგენს. სახნავი მიწებისა და ბარათების დარიგების არეალი გაფართოვდა და მას დაემატა ქუთაისის, ფათისა და რუსთავის შემოერთებული სოფლები. პროექტი თებერვლიდან დაიწყო და 1 დეკემბერს დასრულდება.

„მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო საშუაობების ხელშეწყობის პროექტი“-ს მოსარგებლები (ბენეფიციარები) არიან: ფერმერები, რომელთა საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილი სახნავი მიწის ნაკვეთი და აქვთ მრავალწლიანი კულტურებით გაშენებული მიწის ნაკვეთი(ებ), რომელთა ფართობები 1.25 ჰა-ს. ფერმერები, რომლებსაც არ გააჩნიათ ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილი სახნავი მიწის ნაკვეთი და აქვთ მრავალწლიანი კულტურებით გაშენებული მიწის ნაკვეთი(ებ), რომელთა ფართობები 1.25 ჰა-ს.

პროექტის ფარგლებში მოსარგებლები სარგებელს მიიღებენ სასოფლო-სამეურნეო (ხენის) ბარათის ან „აგრო ბარათზე“ დარიცხული ქსელების სახით.

პროექტის მოსარგებლების კატეგორიები და შესაბამისი სარგებელი

1. მოსარგებლებს, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 0.25 ჰა-მდე ჯამური ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი: „აგრო ბარათზე“ დარიცხებათ 50 ჟულა.
2. მოსარგებლებს, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 0.25 ჰა-დან 1.25 ჰა-ს ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელსაც იყენებენ ერთწლიანი კულტურების მოსაყვანად ვადაცემით ნაკვეთის ფართობის პროპორციული ღირებულების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელზეც გაშენებული აქვთ მრავალწლიანი კულტურების ნარგავები და არ გააჩნიათ ერთწლიანი კულტურების წარმოებისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთი, დაფარული ნაკვეთის ფართობის პროპორციული ქსელების რაოდენობა 1 ჰექტარზე 140 ჟულის გადასაგარიშებით.

ხენის ბარათი

ხენის ბარათი გამოიყენება ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილ მიწის ნაკვეთზე ხენის საშუაობების მისაღებად. ბარათის მეშვეობით მოსარგებლებს ხენის საშუაობების მომსახურების მიღება შეუძლიათ სამუშაოს შემსრულებლებისგან.

გარკვეულ შემთხვევებში მოსარგებლეს შეუძლია ხენის ბარათის დაბრუნება სააგენტოში, რათა ამ ბარათით გათვალისწინებული სარგებლის ექვივალენტი ქსელების რაოდენობა მას დაერიცხოს „აგრო ბარათზე“.

ბარათის სააგენტოში დაბრუნების ბოლო ვადაა 2015 წლის 15 ნოემბერი.

ასევე, ხენის ბარათი შეიძლება გამოიცვალოს, თუ ის მოსარგებელზე გადაცემის შემდგომ დაზიანდა ან დაიკარგა.

„მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო საშუაობების ხელშეწყობის პროექტი“ ითვალისწინებს ბენეფიციარის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მოხვნას 2015 წლის 1 დეკემბრამდე. თითოეულ სოფელში ხენის საშუაობების ჩატარების გრაფიკი ცნობილი იქნება

გამგებლის წარმომადგენლისთვის. იგი ვალდებულია კოორდინაცია გაუწიოს და გააკონტროლოს საშუაობების შემსრულებლების მიერ გაწეული ხენის საშუაობების პროცესი. ნიადაგის ხენის მომსახურების მიღებისას, მოსარგებელ ან მოსარგებლის წარმომადგენელი და საშუაობის შემსრულებელი, ვალდებული არიან ხენის ბარათზე გამოყოფილ სპეციალურ ველში ხელმოწერით დაადასტურონ ხენის საშუაობების შესრულება, რასაც ასევე სპეციალური ბეჭდით და ხელმოწერით დაასტურებს გამგებლის წარმომადგენელი.

„აგრო ბარათი“

„აგრო ბარათი“ არის საბანკო ბარათი, რომლის ალბაც პროექტის მოსარგებლებს შეუძლიათ „ლიბერთი ბანკი“-ს ნებისმიერ ფილიალში. „აგრო ბარათზე“ ჩარიცხება პროექტის ფარგლებში მოსარგებლისთვის განკუთვნილი სარგებლის ღირებულების შესაბამისი ქსელები (1 ლარი უდრის ერთ ჟულას). „აგრო ბარათზე“ დარიცხული ქსელების მეშვეობით მოსარგებლეს შეუძლია მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის (სასუქი, სათესი მასალა, საწვავი მასალა და მცენარეთა მოვლის საშუალებები) შექმნა მოწოდებლებისგან. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ „აგრო ბარათი“-ს მოსარგებლეთა სიები გადასცა „ლიბერთი ბანკს“. მოსარგებლებს ქსელები დაერიცხებათ 2014 წელს „ლიბერთი ბანკი“-ს მიერ დარიცხულ „აგრო ბარათებზე“.

თუ 2015 წლის საგაზაფხულო პროექტის მოსარგებლეს არ გააჩნია „აგრო ბარათი“, იგი უნდა მივიდეს „ლიბერთი ბანკი“-ს ნებისმიერ ფილიალში, სადაც მას პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის შემდეგ გადასცემენ მისთვის განკუთვნილ „აგრო ბარათს“.

თუ მოხდა მოსარგებლის „აგრო ბარათი“-ს დაკარგვა ან დაზიანება, იგი უნდა მივიდეს „ლიბერთი ბანკი“-ს ფილიალში, სადაც მას პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის შემდეგ გადასცემენ ახალ „აგრო ბარათს“.

0.25 ჰა-მდე მიწის მფლობელ

მოსარგებლებს, მათი კუთვნილი 50 ჟულა „აგრო ბარათზე“ დაერიცხებათ.

2015 წლის 1 დეკემბერს მოხდება „აგრო ბარათზე“ დარიცხული და გამოუყენებელი ქსელების ანუ-ლირება.

ამ პროექტის განხორციელებას ქვეყანა მეტ-ნაკლებად მომზადებული შეგვდა. მთავარი პრობლემა მოძველებული სატრაქტორო პარკები აღმოჩნდა. გამართულად მომუშავე ტრაქტორების მწვავე დეფიციტი შეიქმნა. სასწრაფოდ იქნა შექმნილი ასეთი-ობით ახალი, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და ისინი ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე იქნა გადანაწილებული, ძირითადად შპს „მექანიზატორის“ სერვის-ცენტრებში.

წელს, კლიმატურმა პირობებმა საშუალება მისცა გლუხებს, რომ აღრიანად დაეწყით საგაზაფხულო საშუაობები. ტრაქტორის ხმა ისმის ყველა სოფელში და ახლადდახნულ მიწას ოხშივარი ასრის.

რეზო ყორყოლიანი: „ეს ნამდვილად კარგი პროექტია და დიდი შედეგით მოგვცა გლუხობას. მესამე წელია უკვე, ხენა-თესვაში ჩემს ფინანსებს არ ვხარჯავ. წელს აღრიანად დავიჭირეთ თადარიგი ტრაქტორის რიგში და ჩვენი უბნის მოსახლეთა დიდი უმრავლესობის პირადი ნაკვეთები უკვე მოხსულია. შარშან მივიღეთ მწარე გამოცდილება — დროულად ვერ მოვახერხეთ ტრაქტორის მოყვანა, დავივივინადა თესვის პროცესი, ამას დაემატა გვალვითი ზაფხული და სიმინდის მოსავალი ფაქტობრივად ვერ მივიღეთ, ეს კი მის ნიშნავს, რომ საკვების გარეშე დავკრჩა შინაური ფრინველები, პირუტყვი. იმედა, წელს უფრო გავვიმართლებს.“

სერგო ფილიანი: „პირველივე წელსვე დიდი სარგებელი ვნახეთ ამ პროექტით. ხენა-თესვის გარდა, თითქმის ყველა ოჯახმა შევიძინეთ სოფლისთვის აუცილებელი ტექნიკა — ბალახის სათიბები, ელექტროხერხები, თოხები, ბარები... გავიგეთ, რომ წელს სრულდება და ძალიან გულდასაწყვეტია, არამგონია, 3 წელი საქმარისი ყოფილიყო განადგურების პირას მისული ქართული სოფლის ასალორძინებად.“

თინა კილაძე: „მართლაც ქალი ვარ და ყოველთვის მიჭირდა საგაზაფხულო საშუაობების დროულად შესრულება. რაც ამ პროექტით გვემარება მთავრობა, სული მოვითქვი, მეზობლები შევთანხმდებით, მოვიყვანთ ტრაქტორს, დავიხნავა, დავითესავს... არც სასუქი მიყიდია 3 წელია, მეოფნის „აგრო ბარათით“ შექმნილი სასუქი. შხამ-ქიმიკატების ხარისხს თუ მიქცევა მეტი ყურადღება, ძალიან კარგი იქნება.“

გივი დღისაძე: „მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ სასურველი იქნებოდა, ტექნიკის მრავალფეროვნება — ზოგს პატარა-პატარა ნაკვეთები გვაქვს, სადაც ამ ახალ ტრაქტორებს, თავიანთი დიდი ზომების გამო, უჭირთ მოძრაობა და უარს ამბობენ მიწის დამუშავებაზე, ამიტომ ისევ მამა-პაპურად, ხარით და კავ-გუთნით გვიწევს ხენა, ფარცვა. არსებობს მცირეგაბარიტული ტრაქტორები და ისინიც თუ შემოვა სოფლებში, უკეთესი იქნება.“

ქართული სოფლის საბოლოოდ აღორძინებამდე წინ კიდევ დიდი გზა გასავლელი...

ირინა მარტალია





კვირის პოპოსკოპი

ვერდი: ამ ქვეყნად ყველაფერს აქვს ორმაგი ბუნება. წარმატება შეიძლება უცებ იქცეს დამარცხებად, ან პირიქით. ნუ გარისკავთ უმიზეზოდ. ნუ შეეჭიდებით იმ საქმიანობას, რომელშიც არ ხართ დარწმუნებული.

კურო: ეს კვირა კარგია საქმის დასაწყისად. შესაძლებელია, თქვენი „მეორე ნახევრის“ რჩევა დაგვირდეთ. საქმიანი შეხვედრა უკეთესია დილით დანიშნით. თქვენ შეძლებთ ნაყოფიერად გაატაროთ ეს კვირა.

ტყუბუბი: ეს კვირა წარმატებული იქნება ისეთი ფინანსური ოპერაციებისათვის, რომლებიც დამოკიდებულნი არიან მოგზაურობაზე. გამოიჩინეთ თავშეკავებულობა და მოგვეცემთ ჩანაფიქრის განხორციელების საშუალებას. შესაძლებელია ახალი რომანტიკული კავშირი.

კირჩხიბი: კარგია თაბატულ-დამხვევი წინსვლა მოსალოდნელი. ეცადეთ, იაქტიურად განახორციელოთ ახალი პროექტები, დასახეთ ახალი მიზნები. ფინანსური მოგების ალბათობა დიდია. ამ კვირაში შეხვედრით ძველ ნაცნობს, რომელთანაც დიდი ხანია, გასურთ საუბარი.

ლომი: დიდი საქმეები გელოდებთ, რომელიც პირად ცხოვრებას მოგწყვეტს, არ დაწვდით, თორემ თქვენი ღვაწლი უკვალოდ ჩაივლის. ამ კვირაში მოსალოდნელია დიდი სტუმრიანობა თქვენს ოჯახში. გადაიღებთ, მაგრამ მათი სტუმრობით სიამოვნებასაც მიიღებთ.

ქალწული: ეს კვირა შემოქმედებითი აღმასვლისთვის მეტად პოზიტიური იქნება, თუმცა ჩავარდნები არც პირად ცხოვრებაშია მოსალოდნელი. პირიქით, იმის დიდ ალბათობაა, რომ ამ პერიოდში გაგიჩნდეთ რომანტიკული ნაცნობი, რომელიც ბევრ სასიამოვნო წუთს გაჩუქებთ.

სასწორი: თქვენს ცხოვრებაში საუკეთესო დღე არის. წარმატება გელით როგორც საქმიან, ასევე პირად ცხოვრებაში. გელით რომანტიკული თავდასაყვანი. პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგით.

მორიელი: ზუსტად განსაზღვრავთ პრიორიტეტებს და თქვენი მონდომება ხელმძღვანელობისათვის შეუძლებელი არ დარჩება. ძალიან მოსაწყენი და გამაღიზიანებელი იქნებით ირგვლივ მყოფთათვის. ამის მიზეზი ზედმეტად დაძაბული სამუშაო დღეებია. შეეცადეთ, გადაჭარბებული ემოციურობის დრო მიუღწევთ ყოველგვარ წვრილმანს.

მშვილდოსანი: მეტი მობილიზება და სიმშვიდე გმართებთ ოჯახური პრობლემების გადაწყვეტისას. აჩქარება სიკეთეს არ მოგიტანთ. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას, ყურადღებით მოეცილეთ ყველანაირ წვრილმანს.

თხის რქა: მიენდეთ ინტუიციას და ნებისმიერი პრობლემის გადასაჭრელად მეგობარს მიმართეთ, გააკეთეთ ისე როგორც გიკარნახებთ გუჟინი. ამ კვირაში თქვენს ცხოვრებაში მოხდება სასიამოვნო ფაქტი, რომელიც მთელი ცხოვრება გემსსოვრებათ.

მერწყული: თქვენი მიზანსწრაფულობა შეუძლებელი არ დარჩება და შემოგთავაზებენ პროექტს, რომელიც უფრო მომგებიანი იქნება. ბოლოქარი პერიოდს დამთავრდა. დროა, მშვილდ და სტაბილური ცხოვრებაზე იფიქროთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის წევრებს და მეგობრებს.

თევზები: კარგი დროა კულტურული დასვენებისთვის. გადახედეთ აფიშას, კარგი იქნება, თუ თქვენს მეორე ნახევარს დაპატივებთ სადმე. დღისით კარგი იქნება ბავშვების გარემოცვაში და ბუნებაში დროის გატარება.

# 120-ე სეზონის პირველი პრემიერა ჭიათურის თეატრში

ჭიათურის დრამატულ თეატრის გასული წლის დეკემბერში საიუბილეო ასაკი შეუსრულდა, თუმცა არ აღნიშნულა, რადგან თეატრის ხელმძღვანელობა და მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა შეთანხმდა იმ საკითხზე, რომ 2015 წელი იქნებოდა საიუბილეო. თეატრი საჭიროებს შენობის მნიშვნელოვან რეაბილიტაციას (დარბაზი, სცენა, სკამები) და ნაწილობრივად — რეკონსტრუქციასაც. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, მამუკა ცერცვაძის, აზრი, რომ ჭიათურაშიც უნდა იყოს მცირე დარბაზი, მოწონებულია მსახიობების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მსაყურებელთა მხრიდან. მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი 70 ათასი ლარით ჭიათურის გამგებელი სცენის რემონტს გეგმავს, თუმცა, კულტურულად საუბრობენ შენობის მთლიან რეაბილიტაციაზეც.

31 მარტს ჭიათურის დრამატულმა თეატრმა წლის პირველი პრემიერა აჩვენა მაყურებელს. მოწვეული რეჟისორის, კახა გოგაძის, მიერ დაიდგა სპექტაკლი „მუსუსი“, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით შეიქმნა.

სპექტაკლს დაეწირნენ სხვადასხვა თაობის მსაყურებლები, ქუთაისისა და ახალციხის თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელები. წარმოდგენის დასრულებამდე დარბაზში რამდენჯერმე ვერ შეძლო ემოციის მართვა და სპექტაკლის მსვლელობისას რამდენჯერმე ხანგრძლივი ტაშით აღინიშნა თეატრალური პროფესიონალიზმის გამოვლინება.

მცირე სადადგმო ხარჯების მიუხედავად (2771 ლარი) სცენა და კოსტიუმები იმდენად შთაბეჭდილი იყო, რომ სპექტაკლის დასრულების შემდეგ მხატვრებს, ნანა ყორანაშვილს და ლელა ფერაძეს, მადლობას უხდიდნენ მაყურებლებიც.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ ჩვენ რამდენიმე ადამიანს ვთხოვეთ კომენტარი, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

**ზურაბ კახანაძე** (მაყურებელი): „ჭიათურის თეატრი იმდენად განსაკუთრებული ისტორიისა, რომ მასზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. საკმარისია, ვახსენოთ, რომ თავის დროზე ჭიათურის თეატრის წარმოდგენებს ესწრებოდნენ ვაჟა ფშაველა და აკაკი წერეთელი. ვფიქრობ, რომ დღევანდელი თეატრი იმ შესანიშნავ ტრადიციების ღირსეული გაგრძელებაა.“

**ლია სულუაშვილი** (ახალციხის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი): „ჩვენ დღეს ჭიათურაში ვნახეთ სპექტაკლი, რომელიც ორგანული და მონოლითურია. თითქოს თავიდან გადაჭარბებულად მეჩვენა აღმო-



სსენა სპექტაკლიდან

სავლურ-ქართული კილო, მაგრამ რამდენიმე წუთში შემეცვალა წარმოდგენა, რადგან დიალექტურმა მიქსმა შექმნა კოლორიტული ეფექტი სცენაზე. წარმატებებს ვუსურვებ ჭიათურის, და ზოგადად, რეგიონების, თეატრებს.

ე.წ. „წერეთლის 3,5 მილიონის“ ხარჯვასთან დაკავშირებით ჭიათურის გამგებელმა და მაყორიტარმა დეპუტატმა განაცხადეს, რომ მინგანუმის მეწარმეებისგან გადახდილი ბუნებრივი მოსაკრებლის ნაწილი, რომელიც, სავარაუდოდ, ჯამურად 2015 წლიდან 3,5 მილიონი ლარი ან მეტი იქნება, აუცილებლად მოხმარდება თეატრის აღორძინებასა და პერსპექტივებს.“

**სულხან მახათაძე** (ჭიათურის გამგებელი): „ჩვენ გვაქვს უნიკალური თეატრი და არა მარტო მატერიალური დახმარება სჭირდება მას. სირცხვილია, როცა მუნიციპალიტეტში ასეთი ღონის თეატრია და მისი წარმოდგენები არ ექნება ნანახი მოსწავლე-ახალგაზრდობას. ვგეგმავთ თეატრთან და სავანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ერთობლივ აქციებს, რაც გულისხმობს ბავშვების სპექტაკლებზე ინტენსიურად დასწრებას. ამას აუცილებლად განვახორციელებთ. ბუნებრივია, რომ თეატრისთვის ეს საჭიროა, თუმცა ახალგაზრდების ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებისთვის თეატრში სიარული აუცილებელი და უფრო მეტად საჭიროა.“

**მალხაზ წერეთელი** (ჭიათურის მაყორიტარი დეპუტატი): „ჩემ მიერ ინიცირებული კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ ბუნებრივი მოსაკრებლის გაზრდით ჭიათურის თეატრს აუცილებლად უნდა გამოეყოს დამატებით თანხა, რომელიც უნდა მოხმარდეს იმ ენთუზიაზმზე მომუშავე ადამიანებს, რომლებმაც შეინარჩუნეს და განავითარეს ჭიათურის თეატრი. ჩემთვის უცხო არ არის ჭიათურის თეატრის პრობლემები. აუცილებლად სჭირდება ტრანსპორტი, შიდასარემონტო ღონისძიებები, მცირე დარბაზი, მატერიალური წახალისება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჭიათურის თეატრი პროგრე-

სის ნაცვლად კვლამას დაიწყებს. სამწუხაროა, რომ ახალგაზრდობამ დაივიწყა 90-იან წლებში თეატრის გზა და კარი, ახლა ჩვენ ამ ხარვეზის დასაძლევად უნდა ვიმოძიოთ. მკერა, რომ ჭიათურის თეატრი თავის ტრადიციულ დიდებას არ დაკარგავს და ქართული კულტურის ისტორიაში კვლავ ექნება ღირსეული ადგილი.“

**მარიამ შევილაძე** (მოსწავლე): „აქ ხშირად დავდივარ, მიუხედავად იმისა, რომ თეატრამდე ჩემი სახლიდან 30 კილომეტრია. ძალიან მიყვარს ჭიათურის თეატრი, ძალიან კარგ სპექტაკლებს გვიჩვენებენ ხოლმე და მსახიობებს როლების მიხედვით ვიცნობ. ძალიან მომწონს ამ თეატრის ლამბალო, ყაზი, ახლა უკვე მუსუსიც, ყინულის დედოფალიც და ექიმიც. იმედი მაქვს, ჩემი მშობლები ხელს შემეწყობენ და სპექტაკლზე წამომიყვანენ ხოლმე. ამბობენ, რომ სკოლები უფრო მეტად ჩაერთვებიან თეატრალურ ცხოვრებაში, ამას სკოლის დირექცია, ადგილობრივი ხელისუფლება და „კოჩიან მანგანეზი“ გვიპირდება.“

**კახა გოგაძე** (დამდგმელი რეჟისორი): „მიხარია, რომ სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა. იმდენად მაღალკვალიფიციური დასი დამხვდა ჭიათურაში, რომ აქაურ მსახიობებთან მუშაობა კომფორტული აღმოჩნდა ჩემთვის. ის ელემენტები, რომლითაც „მუსუსი“ გავამდიდრე, ჩემი აზრით, ეფექტური აღმოჩნდა. როგორ რეაქციასაც ველოდებოდი დარბაზისგან, ზუსტად ის მივიღე. ქორეოგრაფიული, ავანგარდული, გროტესკული ელემენტები ამ სპექტაკლის კოლორიტული ნაწილებია. კრიტიკული თვალის ვუყურებდი სპექტაკლის მსვლელობას და, ვფიქრობ, მასში არ არის რამე შესაცვლელი. ყველა ნიუანსი გათვლილი მქონდა და ყველამ გააძაბა. იმედი, ამის თქმას თავმოწონებდა და ტრამბაზად არ ჩამითვლიან. ჭიათურის თეატრმა დღეს თავისი შესაძლებლობა კიდევ ერთხელ გამოავლინა, რისთვისაც მადლობას ვუცხადებ თეატრის ადმინისტრაციას, მსახიობებსა და მაყურებლებს.“

როლანდ ხოჯანაშვილი

მუდამ ემახსოვრებათ შენი ოხუნჯობები, გულითა და ხელის სითბო.

უფალმა ნათელში ამყოფოს შენი სული. მსუბუქი იყოს შენი გულზე დაყრილი მიწა, შენი ხსოვნა მარად დარჩება, სანამ თუნდაც ერთი შენი შთამომავალი ცოცხალი ივლის ამ ქვეყანაზე. ჩვენ გვაშვიდებენ ამ ქვეყნად, რომ განვლუ წლები მრავალი, შენ ჩვენი მამა იყავი, რა შუაშია ასაკი. გემშვიდობებით ძვირფასო, ჩვენ ამ პატარა ლექსითა, ტკბილად იძინე იმქვეყნად ჩვენი ბერძნულ მამიკო!

მეუღლე, შვილები, შვილიშვილები

ვინ არის ფოტოზე?



აასუნი ნინა ნომრის ფოტოპრეზიდენტი



ელუარდ შევარდნაძე ჩვენმა ერთგულმა მკითხველმა, სულიყო ფურტარაძემ ამოიცნო.

რას დაარქმევდით?




გიორგი მარბულაშვილი



გიორგი თარბაძე

„შენ არ გიყვარს მამული, არც ერი, შენ მიველის გლდანის ციხის კარცერი“... შაქრო გაბელაშვილი

ქროსოვრი



**პორიზონტალურად:** 3. ქართული ფილიმი ... ხე; 5. მუსლიმანთა სულიერი მოძღვარი; 6. ფრანგი მსახიობი ... ყირარლო; 8. ... თბილელი; 9. წრეგადასული ღრუბა; 11. ამ ნახევარკუნძულზეა იტალია.

**ვერტიკალურად:** 1. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 2. ფრანგი მხატვარი; 3. მისი დედაქალაქია ვინდბუკი; 4. სირცხვილი, ნამუსი და...; 7. შეიარაღებული ძალების ერთობლიობა; 10. დედამიწის ქალღმერთი ბერძნულ მითებში.

წინა ნომრის კროსოვრდის პასუხები

**პორიზონტალურად:** 3. სირიუსი; 5. ბრაუნი; 6. მწიკ; 8. სან; 9. არშია; 11. იფსილონი. **ვერტიკალურად:** 1. კრაგი; 2. ბუი; 3. სირტაკი; 4. ირდინი; 7. კროლი; 10. სიი.

სუდიკა

ჩასვით რიცხვები ერთიდან ცხრამდე კვადრატის 9X9 უჯრედებში ისე, რომ თითოეულ რიგში, სვეტში და ცალკე გამოყოფილ კვადრატში 3X3 ყველა რიცხვი იყოს სხვადასხვა და არც ერთი არ გამოვალდეს!

5	6					7	3	
			1		3	7		
8			9	7				
	8	1			7	2		
		3		3	1			
	7		2	8				5
	4		7					9
7								
1						5	4	8

განხილვა

ტუხუ კობრეიძის ხსოვნას

ჩვენო საყვარელო მამა, ექვსი თვე სრულდება 4 აპრილს შენი ამიერიდან იმიერში გადასახლებიდან. ძალიან დიდი ტკივილი დაგვიტოვე შენი ოჯახის წევრებს: მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს.

მადლობა, რომ იყავი კარგი მამა, კაცი ღირსეული, მემტანე სოფლისა, თუ ქალაქის.

10 აპრილს შენი დაბადების დღეა, 88 წელი შეგისრულდება, მაგრამ საშინელმა სენმა აღარ დაგცალა შენი შვი-

ლების, შვილიშვილების და შვილიშვილების და შვილიშვილების გვერდით ყოფნა, რაც ასე ძალიან გინდოდა და გიხაროდა.

მადლობა იმისთვის, რომ დატოვე უხინჯო მომავალი: 4 შვილი, 9 შვილიშვილი და 5 შვილიშვილი. შენი სიცოცხლე შენს მრავალრიცხოვან შთამომავლობაში გრძელდება, რომელთაც





ქარი და ქალის გლომბი

ყველა ასაკი მოგავლის უფლებით

ია საბანაძე ჯერ მხოლოდ 42 წლისაა. პროფესიით დაწყებითი განათლების პედაგოგია, თანაც საკმაოდ კარგი. რამდენიმე წლის წინ იტალიური გახდა, სკოლიდან წამოსულიყო. მიზეზი მოულოდნელად დაქვეითებული სმენა იყო, ავადმყოფობამ გაკეთილი ჩატარების შესაძლებლობა აღარ მისცა, თუმცა სახლში დაწყებითი კლასის რამდენიმე მოსწავლეს მაინც ამეცადინებდა. ასე იყებდა ფინანსურ საჭიროებას და სკოლის მონატრებას. პროგრესირებდა და ავადმყოფობამ ეს გზაც მოუჭრა. სმენის მთლიანად დაკარგვით მზიას რეპეტორობაზეც უარი ათქმევინა. ასე დარჩა უმუშევარი, პატარა ბავშვით „სათადარიგო პროფესიის“ გარეშე. **ია საბანაძე:** „ავადმყოფობამ ჩემი ოცნების პროფესიაზე მათქმევინა უარი. არავითარი სხვა საქმე არ ვიცი, განსაკუთრებულად ვერც ვქსოვ და ვერც ვკერავ, რომ ამით რაიმე შემოსავალი მქონდეს. ალბათ, დამლაგებლად მომიწევს მუშაობის დაწყება, რა თქმა უნდა, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. მაგრამ კარგია სხვა პროფესია რომ მქონდეს... ამ ბოლო დროს ვფიქრობდი, ნეტავ ყესტების ენა რომ მასწავლა, სპეციალიზირებულ სკოლებში პედაგოგის ადგილს თუ ვიშვი? მასწავლებლობა, ბავშვებთან ურთიერთობა, ალბათ, ყოველთვის გამყვება ეს ნოსტალგია.“ იამ არ იცის, რომ უწყვეტი განათლების უფლება აქვს და ამ უფლებით არც შესტების ენის სწავლა ეკრძალება. მას არც ტერმინი ზრდასრულთა განათლება გაუგია.

**„ზრდასრულთა განათლება ეს არის კომპლექსური და მრავალწახნაგოვანი არაფორმალური განათლების მოდელი, რომელიც აერთიანებს ზრდასრული ადამიანის პიროვნული და სოციალური განვითარების საკითხებს. პირველად შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების მქონეც, რომელიც ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე მიხვდა, რომ საკუთარ პროფესიაში სათანადოდ ვერ**

**რეალიზდება და უნდება სურვილი შეისწავლოს რაღაც ახალი, უფრო პრაქტიკული და რეალურად საჭირო საქმე. როგორც წესი, ეს ხდება ზრდასრულ ასაკში, ფორმალური განათლების ასაკიდან (სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი) და სპექტრიდან გამოსვლის შემდეგ და ამიტომაც ჰქვია ასე — ზრდასრულთა განათლება. ევროპაში მას ახალგაზრდებზეც საკმაოდ ხშირად მიმართავენ. სკოლა-დამთავრებულთა დიდი ნაწილი იქ იმთავითვე პროფესიული განათლების გზას ირჩევს, შეისწავლის მისთვის საინტერესო სპეციალობას და შემდეგ ამ ხელობით იმკვიდრებს კიდევ ადგილს ცხოვრებაში.“**

ზრდასრულთა განათლების პრობლემა საქართველოში სახელმწიფო დონეზე ნაკლებად განიხილება. სახელმწიფო ჯერ ზოგადი განათლების

სრულყოფაზეა ორიენტირებული. ამ დროს, ჩვენს ქვეყანაში უამრავი იას მსგავსი ადამიანი ელოდება „საკუთარ მეორე შანსს“. მათ სუბიექტური ან ობიექტური მიზეზების გამო, უარი თქვეს საყვარელ პროფესიებზე და სრულიად უმწეონი აღმოჩნდნენ საზოგადოების ტრანსფორმაციის პროცესში. ეს პრობლემა ორმოცი წლიდან საპენსიო ასაკს მიტანებულ მოსახლეობას აწუხებს. გარდაამავალ ეტაპზე ზოგის დიპლომი არაკონკურენტული აღმოჩნდა ევროპულ სერტიფიკატებთან და დიპლომებთან, ზოგმაც ცხოვრების „ფხა“ ვერ გამოიჩინა და საჭირო დროს საჭირო ადგილზე ვერ აღმოჩნდა. ზოგს არც არასოდეს ჰქონია რამე პროფესია და ა.შ. მათ ყველას ახალი პროფესია — სათადარიგო საქმე სჭირდებათ.

„მოგავალი განათლებაში“

ასეთი ლოზუნგი უჭირავს ხელში ამ ფოტოზე ამერიკის 45 წლის მოქალაქეებს. ფოტო ინტერნეტში ზრდასრულთა განათლების შესახებ ინფორმაციის მოძიებისას ვიპოვე. სხვადასხვა საიტებიდან გარკვეული ინფორმაცია ვთარგმნე. ვაგოცდი, ამერიკის და ევროპის ქვეყნებში მოსახლეობას აქვს მაქსიმალური ინფორმაცია ზრდასრულთა განათლების შესახებ. მათ იციან თავიანთი უფლებები და საკმაოდ მკაცრად მოითხოვენ მთავრობებისგან ამ უფლებების დაცვას. საინტერესოა ისიც, რომ ბევრი ქვეყნის მუნიციპალურ ბიუჯეტებში ჩადებულია საკმაოდ სლოიდური თანხები ზრდასრულთა განათლებისათვის. ფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო კურსები, ტრენინგები. სპეციალური სკოლებიც კი არსებობს, რომლებსაც დაფინანსება ზოგჯერ უმცირდებათ, რასაც მოსახლეობა მკაცრად აპროტესტებს. მათ კარგად ესმით, რომ „მოგავალი განათლებაშია“ და ეს მომავალი მათ ნებისმიერ ასაკში ეკუთვნით. საქართველოში კი ინფორმირებულობის დონეც ძალიან დაბალია და ადამიანების გარკვეული ნაწილი, ვერც განათლებასა და მომავალს უკავშირებს ერთმანეთს. მოსახლეობამ ის მწირი ინფორმაციაც არ იცის, რაც ზრდასრულთა განათლების საკანონმდებლო გარანტიებს უკავშირდება. მეტი კონკრეტისთვის, „ფეისბუქზე“ ჩემს მეგობრებს დავუსვით შეკითხვა: „რა არის ზრდასრულთა განათლება და თუ გაგიგიათ ეს ტერმინი?“ პასუხები ასეთი იყო:

**ირმა (42 წლის):** „შინარსის მიხედვით ვვარაუდობ, რაც არის. ტერმინი გამიგია, სადღაც ინტერნეტში მოკვარი თვალი.“

**მაკა (35 წლის):** „ვიცი, გამიგია. თუმცა ზუსტ განმარტებას ვერ გეტყვით. პროფესიულ განვითარებას უკავშირდება.“



**ანა (24 წლის):** „ვეფიქრობ, ეს არის ეტაპი, როცა მიღებული ცოდნის საფუძველზე ახლანდელ დამოუკიდებლად მოვლენების გაანალიზებას, აღქმას და ანალიზს. რამდენად ამას ნიშნავს არ ვიცი, მაგრამ ასე მგონია.“

**ციცი (28 წლის):** „არაფერი არ მომდის თავში. მაგრამ ადამიანის, პიროვნების ჩამოყალიბებასთან არის კავშირი, ასე მგონია.“

**ფიქრია (39 წლის):** „მე მარტივად ვავიფიქრე, თუ ეს ჩემს ასაკში შეიძლება მოიხრუ, რატომაც არა.“

**ცირა (50 წლის):** „ჩვენს ქვეყანაში არ არის გავრცელებული, რამდენადაც ვიცი.“

**გიორგი (39 წლის):** „როდესაც ზრდასრული ადამიანი, მაგალითად, 35 წლის სწავლობს.“

**ირინე (43 წლის):** „ზრდასრულთა განათლების სისტემა ძალიან გავრცელებული ცნებაა და გულისხმობს ტრენინგების და სემინარების სახით განათლების, ახალი უნარ-ჩვევების შექმნას პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების მიზნით, adult learning principles, ანუ მოზრდილთა განათლების პრინციპები განსხვავებულია მოზარდთა განათლების პრინციპებისაგან და ეს მთელი სისტემა...“

რამდენიმე ადამიანის პასუხი, რა თქმა უნდა, სრულ სურათს არ იძლევა, მაგრამ ინფორმაციულობის დონის მიხედვით განსაზღვრავს. როცა ადამიანებს ინფორმაცია არა აქვთ, რა მნიშვნელობა აქვს, კანონმდებლობას და სპეციალურ სტრატეგიებს? მით უფრო, როცა მთავრობა ოფიციალურ ვალდებულებას მათ განხორციელებაზე არ იღებს.

„ოქროს გამოცდილება“

საქართველოში ზრდასრულთა განათლება საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებული არ არის. ევროპული ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ კაპიტალის ჩადება, წარმატებული პრაქტიკაა. გასული საუკუნის 80-იან წლებში ირლანდია

ევროპის უღარიბესი, უმუშევარი ადამიანების ქვეყანა იყო. ის სასწრაფოდ საჭიროებდა სეროიზულ, ძირეულ რეფორმებს. რეფორმები კი ადამიანური რესურსის გარეშე წარმოუდგენელია. ახალი კადრების აღსაზრდელად მინიმუმ 5-6 წელი იყო საჭირო. ირლანდიის მთავრობამ ზრდასრულთა განათლება და კადრების გადამზადება სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანა და სეროიზული ფინანსური რესურსი მიმართა ამ მხრივ. უფრო მეტიც, ირლანდიის ზრდასრულთა განათლების სამინისტროც კი შეიქმნა, რომელმაც სპეციალური სტრატეგიაც შეიმუშავა. უმოკლეს დროში ირლანდიის მოსახლეობის უმეტესობა ჩაერთო ზრდასრულთა „საყოველთაო ეროვნული განათლების“ პროცესში: შეიქმნა უამრავი კურსები, ადამიანებმა საკუთარი პროფესიაში ახილეს კვალი-ეკაცია, ნაწილმა ახალი პროფესია, ხელობა შეისწავლა. ძალიან მალე ქვეყანამ უმუშევრობა და სიღარიბე დასძლია, სამინისტრომ კი თავისი ფუნქცია შეასრულა და დაიხურა. ირლანდიის მაგალითს „ოქროს გამოცდილებასაც“ უწოდებენ.

**„ზრდასრულთა განათლებას“ ევროპის ქვეყნებში გასული საუკუნის დასაწყისიდან უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ხოლო, აზიის ქვეყნებში არანაკლებ კარგად ესმით მისი მნიშვნელობა.**

ჩვენი კანონმდებლობა მინცაპს ჩვენი?

საქართველოს კონსტიტუციით ყველას აქვს განათლების მიღების და მისი ფორმის არჩევის უფლება. იმავე მუხლში წერია, რომ მოქალაქეებს აქვთ უფლება კანონის დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული განათლება. თუმცა, წმინდა საკანონმდებლო კუთხით პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონი ერთადერთი საკანონმდებლო აქტია ქართულ სინამდვილეში, რომელიც ზრდასრულთა განათლების საკითხებს ნაწილობრივ ათავსებს სამართლებრივ ჩარჩოში. კანონის მე-5 მუხლის თანახმად, პროფესიული განათლების ერთ-ერთი მიზანია ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნა. მთელი სიცოცხლის მანძილზე პირის მიერ სწავლის შესაძლებლობის, სწავლის მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით, მართალია, არსებობს პროფესიული განათლების, სრულწლოვანთა არაფორმალური განათლებაზე, ფოკუსირებული სტრატეგია. თუმცა, საკმარისი არც ესაა. იგივე სტრატეგიის მიხედვით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თვითმმართველობების მიერ სხვადასხვა ტრენინგ-კურსების ორგანიზებას. ეს გასაგებია, რადგან ეკონომიურად ყველაზე უფრო რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას უჭირს და ყველაზე მეტადაც მათ სჭირდებათ

ახალი უნარების, პროფესიული ჩვევების გამოუმუშავება და პრაქტიკაში გამოყენება.

მართალია, სახელმწიფოს მხრიდან რამდენიმე პროექტი (კომპიუტერის შემსწავლელი კურსები, ინგლისური ენის კურსები, პროფესიული სასწავლებლები და სხვა) განხორციელდა, მაგრამ ეს ძალიან მწირია საჭიროებასთან შედარებით. სახელმწიფოს, სამწუხაროდ, არ ესმის, რომ ზოგადი განათლების და საპენსიო ასაკს შორის, არის საკმაოდ მოზრდილი ასაკობრივი ჯგუფი, რომელსაც ყველაზე მეტად სჭირდება ახალი პროფესიის ათვისება, პროფესიული გადამზადება ან კვალი-ეკაციის ამოღება. პროფესიული განათლება მათთვის სიღარიბისგან თავის დაღწევის ალტერნატიული საშუალებაა.

პასუხისმგებლობა სხვაზე

იქ, სადაც სახელმწიფო იხსნის პასუხისმგებლობას, საბედნიეროდ, არასამთავრობო სექტორი იღებს მას. ნებისმიერი დასაქმების საიტზე არის სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემოთავაზებული კურსების დიდი არჩევანი. მათი ნაწილი სტაჟირებასაც გულისხმობს, ნაწილი — დასაქმების პერსპექტივებს გვპირდება. შენ, მთავარიანა, არჩევანი გააკეთო. „მეორადი პროფესიების“ ყველაზე მოთხოვნილი ხუთეული მეტ-ნაკლებად ცვალებადია. ადრე ყველაზე მოთხოვნილი საბუღალტრო კურსები იყო, დღეს პიარი-კომუნიკაცია, hr-მენეჯმენტი და ორგანიზაციის მართვა ყველაზე პოპულარული. ამ ბოლო დროს, მოდური პროფესიების ჩამონათვალს, IT ინჟინერიაც დაემატა. კურსების უმეტესობა აბსოლუტურად ხელმისაწვდომია ფასის მიხედვით, მაგრამ მათი სერტიფიკატი პერსონის დასაქმების გარანტი მინც არ არის. ცნობილი უნივერსიტეტების მიერ შეთავაზებული „ყველაგანმავალი სერტიფიკატი“ კი საფასურის გამო, ადამიანებისთვის ხელმიუწვდომელია.

არაფორმალური განათლების პროვაიდერები საოფიცო პროფესიების მრავალფეროვან არჩევანს გვპირდებიან. რა თქმა უნდა, თუ ვინმე ვერ შესძლო ოცნების ასრულება და უნივერსიტეტში შესაბამისი პროფესიის დაუფლება, უფლება აქვს შემოთავაზებული კურსებით აიხილოს სურვილი. თუ ვინმეს, 60 წლის ასაკში ფორტის გადარების ტექნიკა აინტერესებს, ისიც თავისუფალი და შეუზღუდავია საკუთარ არჩევანში.

მაგრამ სეგმენტი, რომლისთვისაც ახალი პროფესია, ახალი ხელობა საინტელექტუალური მნიშვნელობისაა, ისევე „თამაშვარე“ რჩება. მათ არა აქვთ სწავლის საფასურის გადახდის საშუალება. ისინი, ძირითადად, რეგიონებში, ქალაქებიდან მოშორებით ცხოვრობენ. ამიტომ, მათ სჭირდებათ ხელობა — საქმე, რომლითაც საკუთარ ოჯახებში გარკვეული ფინანსური შემოსავლის მიღებას შესძლებენ.

„ოქროს მარტოობა“... ქართული

ჩემთვის ეს სამაგალითო მაგალითია. მის გამოცხადებასაც პრაქტიკაში აუცილებლად ვაპირებ. ქუთაისში, ჩემმა ჰქვიანმა მეზობლებმა შევიღეს უმაღლესი განათლებასთან ერთად ხელობაც მისცეს. მათი ორივე შვილი (ქალ-ვაჟი) სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა, პარალელურად კი ოქროსმედიკოსობას და ტიხრული მინანქრის ტექნიკას ეუფლებოდნენ. რატომ? მშობლების პასუხი მრავალმხრივ საინტერესო იყო: „ვიღრე სწავლობენ, საკუთარ თავს მიეხმარებიან. რომ დამთავრებენ, რა იცი, რა ხდება, ხელობა ექნებათ. მესამე, ჩვენ სულ ზომ არ ვიქნებით, ამ ქვეყანაში კი სახელმწიფოს იმედზე შეიღის დატოვებას, საკუთარი ხელების იმედზე დატოვება სჯობია.“



„მოგავალი განათლებაში“